

ვლადიმერ პუტინი:



2

„რაც შეეხება საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ეს პირველ რიგში ქართველი, აფხაზი და ოსი ხალხის საქმეა, მათთან უნდა იმუშაოთ. ჩვენ ნებისმიერ გადაწყვეტილებას მივიღებთ“.

„ჩვენ ვუიქრობთ და ვხად ვართ, სპიზო რეჟიმი გააკუთოთ“

იქნებ თქვენ გაინს გვიპასუხოთ!...

პროფ. ჯანმრთელობის დასაცხა და
სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის
გაბონ დავით სარგაძის

გაბონ მინისტრო,
ორი დღეა ვრეკავთ თქვენი სა-
მინისტროს ცხელ ხაზზე — 1505,
რათა დავუკავშირდეთ ან იმ პა-
სუხისმგებელ პირს, ვინც სოცი-
ალურ საკითხებს განაგებს, ან
თქვენს პრესსამსახურს, მაგრამ
ამაოდ.

ჩვენი რეკვის მიზანია, კიდევ
ერთხელ ტყუილში გვემხილება-
ნა ნაციონალური პარტიის ერთ-
ერთი თავგადასმევი ლიდერი
ზურაბ ჭიაბერაშვილი, რომე-
ლიც უკვე რამდენიმე დღეა,
„რუსთავი-2“-ის ეკრანიდან გა-
მუდგებით უჩივინებს მაცურე-
ბელს, თითქოს სელისუფლებამ 60 ათას პენსიონერს შეუწყვიტა
სოციალური დახმარება. ბევრი, ალბათ, უჯერებს, ბევრიც, ალ-
ბათ, არა. ასე რომ, პენსიონერთა საზოგადოება გაურკვეველო-
ბაშია, მართალს ეუბნებიან თუ ტყუილს, რაც სელისუფლებაში
მოსაბრუნებლად და „ოცნების“ სახელის გასატყნად ნაციონალ-
თა ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგიური ხერხია.

როგორც ჩანს, თქვენს სამინისტროში, სამსახურად, არიან ადამიანები, რომელთაც არ ესმით იდეოლოგიური ბრძოლის არსი —
ცილისამებაზე დაუყოვნებელი სწორი პასუხი — უარყოფა და
საზოგადოების თვალში ჩასაფრებული მეტოქის მხილება.

ჩვენთვის გაუგებარია აგრეთვე თქვენი სამინისტროს ცხელი
ხაზის არსებობა, რომელიც არაფრის დიდებით არ გვაკავში-
რებს თქვენს პრესსამსახურთან, რომელიც ცხელი ხაზის ოპე-
რატორის პირით გველაპარაკება, რომ ყოველგვარი ცნობის მი-
საღებად საჭიროა წერილობით მივმართოთ სამინისტროს.

გაბონ მინისტრო, ნუთუ ასე ძნელია თქვენი სამინისტროს ჩი-
ნოვნიკების მხრიდან საერთო საქვეყნო საქმის მეტი გულშემატ-
კიერება და მეტი ოპერატიულობა პრესასთან იმ არაჯანსაღი
ურთიერთობის „სამკურნალოდ“, რაც ასე გადაუდებლად სჭირ-
დება ჩვენს სოციალურად აშკარად ჯანმრთელობაშერყეულ
ქვეყანას.

როგორც ჩანს, უპასუხისმგებლობის ავი სენით შეპყრობილი
თქვენი სამინისტროს ჩინოვნიკები გამოსაჯანმრთელებლად სა-
ყოველთაო სოციალური დაზღვევით არ სარგებლობენ... სხვაგ-
ვრად ძნელი ასახსნელია მათი ესოდენი სიყრუე და გულგრი-
ლობა საზოგადოების ყოველდღიური ჭირ-ბოროტის მიმართ.

დიდად პატივცემული მინისტრო, რომელიც ნამდვილად ჯან-
საღი ავტორიტეტით სარგებლობს ჩვენს საზოგადოებაში, მო-
უთმენლად ველოდებით თქვენს ამომწურავ პასუხს.

გაბათ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია

ოქტავიან მორარიუ: ჩვენ ნიშარაქს ვენდობით

18



თეიმურაზ პაპასქირი: აფხაზეთში ვერავინ
გაბედავს თქმას, ავიღოთ ქართული
პასპორტი, რათა ევროპაში ნავიღეთო...
რბ სარგებელი აფხაზებს მიზალიბერალიზაციისაგან?

საქართველოში

სახალწოდ

ისლამისტები

გააქტიურდებიან?



2



კასობრიობა უახლოეს
მოგაპალში სწორ გზას
უნდა დაადგეს!

4



6 თვე - 60 ლარი

გამოიწერა 2016 წლის პირველი ნახევრის 120 ნომერი

მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია — 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ — 2143906; „ელვასერვისი“ — 2 388 012; „პლანეტა-ფორგე“ — 2 988 990; „პრესა-2012“ — 2341140; „ოლიმპი“ — 599 15 19 69; „პრესა+“ — 551555444; „ჯეომედია“ — 593 977 888.

ჩვენი მისამართია ქ. თბილისი, ი. მარგალიტის 7.

ხელმოწერის ინდექსი 66434

პუტინის პრესკონფერენცია ქართული საჭაპურების დაგეგმვებით

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის ყოველწლიური პრესკონფერენციის დაწყებამდე ჟურნალისტებს ქართული კერძებით გაუმაინძღდნენ.

მედიის წარმომადგენლებს შესთავაზეს კავკასიური სამზარეულოს ცნობილი კერძები, მათ შორის იყო იმერული და მეგრული საჭაპურები.

როგორც რუსული მედია წერს, პროდუქტების მრავალფეროვნების მიუხედავად, ჟურნალისტებში განსაკუთრებული მოთხოვნა სწორედ საჭაპურზე იყო.

ვლადიმერ პუტინის პრესკონფერენციისთვის აკრედიტაცია 1392 რუს და უცხოელ ჟურნალისტს ჰქონდა გავლილი.

საქართველოსთან საზივო რეჟიმის გაუმჯობესება მცდელობას გამოთქვამს

ჩემი მზად ვართ, სავიზო რეჟიმი გავაუმჯობესოთ, — ასე უპასუხა რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ყოველწლიურ პრესკონფერენციაზე ტელეკომპანია „მანესტროს“ ჟურნალისტის შეკითხვას რუსეთ-საქართველოს

ერთობასაც შეეხო და აღნიშნა, რომ ქართული ღვინის საექსპორტო მოცულობის 2/3 სწორედ რუსულ ბაზარზე გადის. მისი თქმით, ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, „ეს მოცულობა ზრდის მაღალ ტემპებს აჩვენებს“.

„რაც შეეხება სავიზო რეჟიმს, ჩვენ ვფიქრობთ და ჩვენ მზად ვართ, სავიზო რეჟიმი გავაუმჯობესოთ“, — აღნიშნა რუსეთის პრეზიდენტმა.

ღარიბაუმილი პუტინის განცხადებას სწორი მიმართულებით გადაღმულ ნაბიჯს უწოდებს

საპარტეზო პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის გაუმჯობესების თაობაზე რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის განცხადებას „სწორი მიმართულებით გადაღმულ ნაბიჯად“ აფასებს.

მან განცხადება პუტინის მიერ დღევანდელ პრესკონფერენციაზე გაკეთებულ კომენტარზე გააკეთა და აღნიშნა, რომ ქართული მხარე მზად არის, მოსკოვთან პრაგმატული კურსი გააგრძელოს.

„გავეცანით რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის დღევანდელ განცხადებას საქართველოს მოქალაქეებისთვის რუსეთთან სავიზო რეჟიმის შესაძლო გაუმჯობესების თაობაზე. ვფიქრობთ, რომ ეს სწორი მიმართულებით გადაღმული ნაბიჯია.“

მოგესვენებათ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ჯერ კიდევ 2011 წელს გააუქმა სავიზო მოთხოვნა რუსეთის მოქალაქეებისათვის. მიმდინარე წელს ჩვენ კიდევ უფრო გავასანგრძლივეთ საქართველოში მათი შესაძლო ყოფნის პერიოდი, რადგან დაინტერესებული ვართ, რომ საქართველოს მეტი ტურისტი ვწვიოს რუსეთიდან და შეძლებისდაგვარად გამართვიდეს ადამიანებს შორის კონტაქტები.

გასათვალისწინებელია რუსეთში მცხოვრები ჩვენი მრავალრიცხოვანი თანამემამულეების, ასევე ქართველი ბიზნესმენების და რიგითი მოქალაქეების ინტერესი სავიზო რეჟიმის გამარტივებასთან დაკავშირებით. მათი სურვილია, ორ ქვეყანას შორის მიმოსვლა მინიმალური სირთულეებით სორცვიდებოდეს.

მიუხედავად საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული პრინციპული ხასიათის უთანხმოებებისა, მათ შორის 2008 წლის ომის გამოწვევებზე მიზეზებთან და მის შედეგებთან დაკავშირებით, ბოლო სამი წლის განმავლობაში ჩვენ შევძელით ვაჭრობის, სატრანსპორტო და პუმანიტარულ სფეროებში გარკვეული ნაბიჯები გადაგვედგა. მზად ვართ, გავაგრძელოთ არჩეული პრაგმატული კურსი რუსეთთან მიმართებაში და რუსეთის მხრიდანაც ველით ანალოგიურ მიდგომას.

უახლოეს დღეებში ველით ევროკავშირის გადამწყვეტილებას საქართველოს მოქალაქეებისათვის ვიზალიზაციის საკითხთან დაკავშირებით, რაც ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იქნება. ზოგადად, ჩვენი მთავრობის პრინციპული პოზიციაა, რომ საქართველოს მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ მსოფლიოში თავისუფალი გადაადგილების მაქსიმალური საშუალება.

ჩვენი ხელისუფლების გააზრებულ საგარეო პოლიტიკას სერიოზული ხელშესახები შედეგები მოაქვს. სწორედ ასე აღიქვამენ ამას როგორც ჩვენი მოქალაქეები, ასევე დასავლელი პარტნიორები“, — აცხადებს ირაკლი ღარიბაშვილი.

© ფოტოლალი, ფოტოლალი

საქართველოში საახალწლოდ ისლამისტები გააქტიურდებიან?

პანკისის სეობაში „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლების მობილიზაცია ხდება, — განუცხადა ჟურნალისტებს ერგნეთში, ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის სამუშაო ჯგუფის წლის ბოლო შეხვედრის დასრულების შემდეგ ოსური დელეგაციის ხელმძღვანელმა დავით სანაკოვემ.

მისი თქმით, ეს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე განთავსებულ რუსულ სამხედრო ბაზასა და იქ მყოფ მეზღვრეებს საფრთხეს უქმნის.



მისივე ინფორმაციით, „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლები გააქტიურდებიან და თავდასხმებს ახალი წლის დღეებში აპირებენ.

„პანკისის სეობაში ხდება მეომრების კონცენტრაცია, რომლებიც სირიაში, აკრძალული ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში აქტიურად იბრძოდნენ. ახლა ისინი საქართველოში იკრიბებიან და პროვოკაციებს სამხრეთ ოსეთის მიმართულებით საზღვრის მონაკვეთზე აპირებენ. მათი თავდასხმის ობიექტები შეიძლება გახდნენ რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის მესაზღვრეები, ასევე ევროკავშირის სადაზღვრებლო მისიის ან, სულაც, საქართველოს პატრულის წარმომადგენლები. მათ ასევე შესაძლოა, გაიტაცონ მშვიდობიანი მოქალაქეები ან ცეცხლი გაუხსნან მათ. როგორც ჩვენ გვესმის, ისინი მიზნად საზღვარზე ვითარების დაძაბვას ისახავენ.“

ჩვენი ინფორმაციით, ეს ყველაფერი მოახლოებულ საახალწლო და საშობაო დღეებისათვის მზადდება“, — განაცხადა დავით სანაკოვემ.

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი სესიაშვილის შეფასებით ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის სამუშაო ჯგუფში ოსური დელეგაციის ხელმძღვანელის დავით სანაკოვეს განცხადება აბსოლუტურად პროვოკაციულია.

ლაპარაკია სანაკოვეს განცხადებაზე, რომლის თანახმად, „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლები პანკისის სეობაში იმყოფებიან და წინასახალწლო პერიოდში პროვოკაციას აპირებენ.

„ეს არის აბსოლუტურად პროვოკაციული განცხადება. ყველამ ძალიან კარგად იცის, მათ შორის, დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებმა, რომ დღეს არ არის ის ხელისუფლება, რომელიც სახელმწიფო ტერიტორიაში არის დაკავებული. ესაა აბსოლუტურად შორის რეალობისგან. ამიტომ მათი ეს განცხადება შეიძლება, მივიჩნიოთ როგორც მხოლოდ პროვოკაციული და იმისკენ მიზნმიმართული, რომ მოლაპარაკებები ან ჩაიშალოს ან არ დადგეს ის ძირითადი საკითხები, რაც მოსახლეობას აწუხებს“, — აღნიშნა ირაკლი სესიაშვილმა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანალიტიკური სამსახურის უფროსის ირაკლი ბერაიას განცხადებით, ქართველი სამართალდამცვეები პანკისში ვითარებას აკონტროლებენ.

„დანამდვილებით შემძლია გითხრათ, რომ აღნიშნული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს“ — განუცხადა ჟურნალისტებს ირაკლი ბერაიამ.



ურთიერთობების სამომავლო პერსპექტივებთან დაკავშირებით.

მისივე თქმით, რუსული მხარე ურთიერთობის გამწვავების მიზეზი არ ყოფილა.

„რაც შეეხება 2008 წლის მოვლენებს და ჩვენი ურთიერთობის დეგრადირებას, ჩვენ ამაზე ბევრი გვისაუბრია. ურთიერთობის გამწვავების მიზეზი ჩვენ არ ვყოფილვართ“, — განაცხადა პუტინმა.

2008 წლის ომის გახსენებისას პუტინმა საქართველოს ყოფილი ხელმძღვანელობა „ავანტიურისტულ განწყვეტილებებში“ დაადანაშაულა და ომის შედეგებზე პასუხისმგებლობაც სწორედ საქართველოს იმჟამინდელ ხელისუფლებას დააკისრა.

ამასთან, უკრაინაში საქართველოს ექსპრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის დანიშვნას პუტინმა „უკრაინელი ხალხისთვის შეფუთვით“ უწოდა.

მისივე თქმით, რუსეთი საქართველოსთან ურთიერთობის გაუარესების ინიციატორი არ ყოფილა და მზად არის, ეს ურთიერთობა აღადგინოს.

„რაც შეეხება საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ეს პირველ რიგში ქართველი, აფხაზი და ოსი ხალხის საქმეა, მათთან უნდა იმუშავოთ. ჩვენ ნებისმიერ განწყვეტილებას მივიღებთ“, — განაცხადა პუტინმა.

ამასთან, როგორც რუსეთის პრეზიდენტმა აღნიშნა, მოსკოვი საქართველოს მოქმედი ხელისუფლებისგან სიგნალებს ხედავს და მზად არის, ეს სიგნალები მიიღოს.

პუტინი საქართველო-რუსეთის ეკონომიკურ ურთო-

© კაკალ გულში

● ძალიან გთხოვთ, ამ გაუნათლებელ ადამიანს მითხრათ, რატომ მიჭერენ მე ფუნთუშის მოპარვაში ეჭვმიტანილი ადამიანისთვის ხელის დაფარებაში და რატომ არის მუშრუსიძე გარეთ? ასევე გთხოვთ, განმიმარტოთ, რატომ სჭირდება „გლობალური“ კრიმინალის დასჯას საარჩევნო წელიწადი? პრეზიდენტის, ან პარლამენტის სასადაილოდან ფუნთუშა რომ მოვიპარო, არჩევნებს დაელოდებიან?

● თუ ფოთის „პოლიცმაისტერმა“ რაღაც თანხად გაიხადა, სახალხო დამცველად როდლო ყვალთავა ავირჩიოთ (კაჟა ჩხეტას ცუდი წარსული ჰქონდა!)

● ვინც რა უნდა თქვას და — ნუგზარ

წერტილოვანი ფრაზები

ბოჭორიშვილი ბევრად სიმპათიურად და სოლიდურად გამოიყურება, ვიდრე ამ ამბების ყველა დანარჩენი მონაწილე ორივე მხრიდან.

● ის დრო, ენერგია, ფინანსები და ე. წ. ადამიანური რესურსი, რაც ნატოზე, ევროკავშირზე, ვიზალიზაციის მიზნით და მსგავს სისულელებზე ჩაღიჯს მოხმარდა, თავის დროზე საშინაო საქმეების მოსაგვარებლად რომ მიგ-



ვემართა ჭკვიაწურად და ნამუსიანად, ახლა აქეთ ექნებოდათ ყველაფერი სახვეწი.

„წუთისოფელი ამნაირად იმიტომ მიდის, კარგა ხანია, კაცი არ ჩანს ნამდვილად დიდი...“

● ბიძინას წაუშლია ალექო ელისაშვილის სმს-ები დისტანციურად, რაღაც „ძვირიანი“ პროგრამით.

● ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: მოდის ჟამი, და უკვე არის, როცა

მკვდრებიც წაიკითხავენ მის ესემესებს,ის მოვლენილი ესემესიაა!!!

● ჩემს ტელეფონში შენახული მესიჯები უნდა წავაკითხო პრემიერ-მინისტრს, პრეზიდენტს, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს, პარლამენტის თავმჯდომარეს, სახალხო დამცველს და პროკურატურას.

ეს მესიჯები ნათლად ადასტურებს ჩემზე უდიდეს ზეწოლას, სიღამაზის სალონების, ელექტროსაქონელის მაღაზიების, სადაზღვეო კომპანიებისა და საკრედიტო, საბაკო დაწესებულებების და სარეკლამო აგენტების მხრიდან.

ამოკრიბა
ბიბა ბაბარიჭიძე

© ოპტიმიზმის საფუძველი

რა სარგებელი აფხაზებს ვიზალიბერალიზაციისაგან?

**თეიმურაზ პაპასქირი: იმ პერაჟინ გაზაფხვს თქმას,
ავიღოთ ქართული პასპორტი, რათა ეპროპაში წავიღეთ...**



„საინფორმაციო კამპანიას სპეციალურად ვიზალიბერალიზაციის საკითხზე არ ვანარმოვებთ, თუმცა ინფორმაციის სხვადასხვა წყაროდან: სოციალური ქსელები, ინტერნეტი, პრესა და სხვა საშუალებებიდან, მათ შესანიშნავად იცოან რას წარმოადგენს ევროინტეგრაცია და ვიზალიბერალიზაცია“.

„მეტრონომს“ ამ საკითხზე ისტორიკოსი თეიმურაზ პაპასქირი ესაუბრა. პაპასქირი სპეცტიკურად უყურობს აფხაზეთ-საქართველოს ურთიერთობების მონესრიგებას და ქართულ პასპორტებზე მოთხოვნის ზრდას, ვიზალიბერალიზაციის ხარჯზე.

„რეალურად დიდ გავლენას აფხაზეთთან ურთიერთობაზე ვიზალიბერალიზაციის პროცესი არ მოახდენს, თუმცა, საერთო ჯამში, ეს დიდი პლუსი იქნება, რადგან ევროპაში პირდაპირი გასასვლელი ვიზების გარეშე მაინც მნიშვნელოვანია. ვერავინ გაბედავს აფხაზეთში იმის თქმას, ავიღოთ ქართული პასპორტი იმიტომ, რომ ევროპაში შეგვეძლება უფროდ წასვლა. იქ ამას ვერავინ გაბედავს“.

იმოქმედებს თუ არა ვიზალიბერალიზაციის საკითხი აფხაზეთ-საქართველოს შორის ურთიერთობებზე, ჯერჯერობით გაურკვეველია და ამას დრო გვიჩვენებს, თუმცა უფიზო მიმოსვლა ევროკავშირის ქვეყნებთან, რომ საქართველოზე დადებითად იმოქმედებს, ეს ფაქტია. ისლა დაგვრჩენია, დაველოოთ, როდის მიიღებენ ევროკავშირის წევრი ქვეყნები პოლიტიკურ გადანწყვეტილებას.

მარიამ პარადაშვილი

© SOS!

ქართული განა მართო ენაა!..

გალის სკოლაში რუსულ ენას აქვს უპირატესობა

გალის რაიონის სკოლებს, სადაც სექტემბრიდან განათლების მიღება რუსულ ენაზე დაიწყო, კომისია ამოწმებს. გალის რაიონის ერთ-ერთი სკოლის მასწავლებელმა რადიო „თავისუფლებას“ უთხრა, რომ კომისიას აინტერესებს, როგორ მიმდინარეობს „განათლების რეფორმა“ დაწყებით კლასებში. პედაგოგის ინფორმაციით, ამ ცოტა ხნის წინათ გალის დაბალი ზონის სკოლებში პროკურატურის წარმომადგენლებმა მონიტორინგი ჩაატარეს და გაკვეთილებსაც დაესწრნენ. ამასთან, მასწავლებელი განმარტავს, რომ რუსულ ენაზე სწავლების დაწყებამ საქმე გაურთულა როგორც პედაგოგებს, ისე მოსწავლეებს იმის გამო, რომ ენა სათანადოდ არ იციან. გალის სოფელ ოტობაისის სკოლის პედაგოგი ამბობს, რომ ქართველებით დასახლებული სოფლების სკოლებში რუსული ენის ყველა კლასში შემოღება ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა და რუსულად მხოლოდ დაწყებით კლასებში სწავლობენ:

„დაწყებითი ოთხი კლასი რუსულად სწავლობს და ასეც გააგრძელებენ, ალბათ. უჭირთ ბავშვებს და მასწავლებლებსაც.“

რუსული უცხო ენაა მათთვის. პირველი კლასიდან კიდევ მიეჩვენა ბავშვი, მაგრამ მეოთხე კლასიდან რა ქნას?! ჩვენ მანამდე საქართველოს სახელმძღვანელოებით ვიყავით და ახლა პირველი-მეოთხე კლასების სახელმძღვანელოები გალიდან მოიტანეს“.

ოტობაიელი მასწავლებლის ინფორმაციით, ქართულს რუსულენოვან კლასებში, როგორც უცხო ენას, მხოლოდ ერთი საათი ეთმობა. გეგმის მიხედვით, სკოლაში აფხაზური ენაც უნდა ისწავლებოდეს, მაგრამ სპეციალისტების სიმცირის გამო სოფლის სკოლების დიდ ნაწილში ეს ადგილები ისევ ვაკანტურია. შესაბამისად, გაკვეთილებიც არ ტარდება.

„სასწავლო გეგმაში არის 29 საათი, მაგრამ, რადგან არ ჰყავთ, აქეთ ვინც წამოვა, სპეციალისტი, — ადგილობრივი ხომ აქ აფხაზი არავინ არ არის, — იმის გამო, რომ კადრი არ არის, ვაკანტურად რჩება. ქვედა ზონის სკოლებში თითო-ორლაში ჰყავთ მხოლოდ“, — ამბობს მასწავლებელი და დასძენს, რომ რუსულენოვანი კლასები ყოველწლიურად გაიზრდება და, საბოლოოდ, ქართულ ენაზე სწავლება გაუქმდება.



გარდა ენის შესწავლის მხრივ არსებული პრობლემებისა, ე. წ. რეფორმას ადგილობრივი მოსახლეობისთვის დამატებითი ფინანსური ხარჯები მოჰყვა: მათ შეიძინეს სასკოლო სახელმძღვანელოები, რომლებიც რუსეთის ფედერაციაშია გამოცემული.

დე ფაქტო ხელისუფლებაში არ აღიარებენ, რომ ე. წ. რეფორმას თან სირთულეები ახლავს. თვითგამოცხადებული რესპუბლიკის გალის ადმინისტრაციაში განათლების განყოფილების ხელმძღვანელმა ბესლან ქანთარიაშვილმა ნოემბერში გაართულ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ რეფორმა გართულებების გარეშე მიმდინარეობს:

„ჩვენ ველაპარაკეთ სკოლის დირექტორებს, რომლებსაც არანაირი პრეტენზიები არ გააჩნიათ სკოლებში რუსულ ენაზე სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით. უბრალოდ, მათ მშობლებისგან ფული შეკრიბეს და წულიდან, მეოთხე კლასის ჩათვლით, ჩვენ სახელმძღვანელოებით დაგაკომპლექტეთ სკოლები“.

აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების გადანწყვეტილებით, გალის დაბალი ზონის სოფლის სკოლის მასწავლებლების რუსულ ენაში გადამზადების პროგრამა ზაფხულში დაიწყო. სოსუმის კოლეჯში სამთვინი კურსის გავლა სავალდებულოა ყველა პედაგოგისთვის, ვისაც მუშაობის გაგრძელების სურვილი აქვს. ახალი სასწავლო წლიდან კი დე ფაქტო მთავრობამ რუსულ ენაზე სწავლა სავალდებულო გახადა გალის ყველა სკოლაში. მანამდე რაიონის ე. წ. დაბალ ზონაში 11 სკოლა იყო დარჩენილი, სადაც მოსწავლეებს განათლების მიღება ქართულად შეეძლო. დე ფაქტო მთავრობამ ძირითადად ქართველებით დასახლებულ სოფლებში რუსულ ენაზე სწავლების სრულად შემოღება ვერ მოახერხა და პირველ ეტაპზე ე. წ. რეფორმა დაწყებითი კლასებს შეეხო. დე ფაქტო მთავრობის მონაცემებით, გალის რაიონში სულ 20 სკოლაა, აქედან ორი ქალაქ გალში, დანარჩენები კი სოფლებში მდებარეობს. 2015 წლის მონაცემებით, ჯამში, ოკუპირებულ რეგიონში მოსწავლეთა რაოდენობამ 3 336-ს მი

თამარ ზანთარია

საქართველოს რესპუბლიკა

ვინ როგორ ხედავს!

მომღიწეებს, პროცესებს უსასრულო ფაქტორები განაპირობებენ. ბუნებრივია, ადამიანს არ ძალუხს ყველა ამ ფაქტორის გაცნობიერება, მაგრამ რაც მეტი ფაქტორის გამცნობიერებელია ინდივიდი, მით მეტ ერუდიერებას ამჟღავნებს.

ზოგი მოვლენა ანტონომიური ხასიათისაა, ამიტომ ყოველად დაუშვებელია ამგვარი მოვლენის ცალმხრივად შეფასება. თუ ყველაფერ ამას გაავითვალისწინებთ, ჩემ მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს, ასე ვთქვათ, უფლება აქვს დღის სინათლე იხილოს. ჩემი მოსაზრებით კაცობრიობამ სამ უმთავრეს საკითხს უნდა მიაქციოს უპირველესი ყურადღება: 1. ადამიანისთვის რომელ საკუთრებას — კერძოს თუ სახელმწიფოს მოაქვს მეტი სარგებლობა; 2. გლობალიზაციისა და 3. რელიგიის არსის გარკვევა.

თავშივე ვიტყვი, კაცობრიობისთვის მისაღებია მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო საკუთრების ჰეგემონია. მრავალი შემედავება — სახელმწიფო საკუთრების ჰეგემონიის პირობებშიც ადამიანები ბევრ პრობლემას აწვდებიანო. სწორია, მაგრამ გვაგინწყდება ერთი მეტად მარტივი დებულება — პრაქტიკაში უნდა დაინერგოს ის საკუთრება, რომელსაც ნაკლები მიზნები აქვს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო საკუთრებას უპირატესობა უნდა მიენიჭოს კერძოსთან მიმართებაში, ვინაიდან იგი მეტად თრგუნავს ადამიანის ეგოისტურ გამოვლენას.

კაცობრიობის ყველაზე გრანდიოზული „გამოგონება“ სწორედ სახელმწიფოა. სახელმწიფო თავის არსში უკვე უარყოფს კერძო საკუთრებას.

სახელმწიფო და კერძო საკუთრება ერთმანეთის მიმართ მარადიულ წინააღმდეგობაში (ანტაგონიზმში) იმყოფებიან. ძლიერდება კერძო საკუთრება, პროპორციულად სუსტდება სახელმწიფოებრიობა. ბუნებრივია, ყველა ქართველს სურს თავისი სახელმწიფოს გაძლიერება, ყოველივე ამის ხელშემშლელი კი კერძო საკუთრებაა.

მრავალს ჰგონია, რომ მარქსი პირველია, რომელმაც იქადაგა სახელმწიფო საკუთრების უპირატესობა. რასაკვირველია, მარქსამდეც არსებობდნენ თეორეტიკოსები, რომლებიც ქადაგებდნენ სოციალიზმს. მეტიც, ადრინდელ საუკუნეებშიც არსებობდა სოციალიზმი, მაგალითად, ძველეგვიპტური და ბაბილონური.

მარქსის ძირითადი შეცდომა ის იყო, რომ სამყაროსეული გაგებით ვერ მიუდგა საკუთარი თეორიის ჩამოყალიბებას. ამ გარემოებამ მას მიუტევებელი შეცდომა დააშვებინა. მარქსის მიხედვით: როდესაც ჭარბი პროდუქცია დაგროვდება, კაცობრიობა ცივილიზაციას ეზიარება, შედეგად ადამიანებში აღმოიფხვრება ეგოისტური გამოვლენა, სახელმწიფო არსებობას შეწყვეტს და საზოგადოება თვითმართვადი გახდება. თვითმართვადი საზოგადოება კი კერძო საკუთრების ჰეგემონიას ნიშნავს.

ამრიგად, ლიბერალიზმი, ანარქიზმი და მარქსიზმი საბოლოო ჯამში ერთ ნერტილში იკვეთებიან, ვინაიდან სამივე ეს მიმდინარეობა, მეტ-ნაკლებად, სახელმწიფოს უარყოფს.

აშკარაა, ჩვენს პლანეტაზე საგრძნობლად შემცირდა სასიცოცხლო რესურსები, ადამიანების რიცხოვნობა კი მეტისმეტად გაიზარდა, ხოლო ცივილიზაციის განვითარების პროპორციულად გაძლიერდა ადამიანის ეგოისტური თვისება. ესე იგი, მარქსის ყველა პროგნოზი არასწორი აღმოჩნდა. მარქსი, როდესაც სოციალიზმს ქადაგებს — სახელმწიფო საკუთრების დამცველია, ხოლო კომუნიზმის ქადაგებისას — კერძოსი.

დარწმუნებით შემიძლია ვთქვა: უახლოესი ოცი წლის განმავლობაში ყველა განვითარებული სახელმწიფო ეკონომიკას სახელმწიფო რელსებზე გადაიყვანს. იმავეს გვიმტკიცებენ მსოფლიოს გამოჩენილი თეორეტიკოსები. მით უმეტეს, მცირერიცხოვანი ერები, სადაც თითქმის ნულამდეა ეროვნული და მოქალაქეობრივი თვითშეგნების დონე დაყვანილი, ხანგრძლივი დროით კერძო საკუთრების ჰეგემონიას ვერ გადაიტანენ. მათ რიცხვში, რასაკვირველია, მოიაზრება საქართველოც.

მარქსისეული სოციალიზმი არც ერთ სახელმწიფოში არ დამკვიდრდა. მართალია, იაპონელები, ჩინელები, ვიეტნამელები, ჩრდილოეთ კორეელები და სხვა სახელმწიფოს მცხოვრებნი თავიანთ ქვეყანას სოციალისტურს უწოდებენ, მაგრამ ჩამოთვლილ სახელმწიფოებში ყველგან ეტატიზმია დამკვიდრებული. ეტატიზმმა ათათურქმა თურქი ერი კრიზისიდან გამოიყვანა. ეტატიზმი იყო საბჭოთა კავშირში, მხოლოდ — დიქტატორული. ვიტყვდი: საბჭოთა კავშირში სისხლიანმა რეჟიმმა, კაცობრიობისთვის სრულიად მისაღები სახელმწიფო საკუთრების ჰეგემონიის დისკრედიტაცია მოახდინა. დასკვნა: კაცობრიობა დღესდღეობით მერყეობს — ვერ აურჩევია მისთვის რომელი საკუთრებაა სასარგებლო — კერძო თუ სახელმწიფო.

* * *

კაცობრიობისთვის პატივითი საჭიროა გლობალიზაცია. მაგრამ უნდა ვიცოდეთ რას ნიშნავს სინამდვილეში ეს ცნება. უპირველესად იმას აღვნიშნავდი, რომ უსსოვარი დროიდან ყველა სახელმწიფო თავის სამართავ ტერიტორიაზე გლობალიზაციას განუხრელად ახორციელებდა და ახლაც ახორციელებს. ამჟამად გლობალიზაციის განხორციელებას ცდომილება გაერო, მაგრამ მას დაკისრებული მოვალეობის მკაცრად შესრულება არ ძალუხს.

ცნობილია, რომ ჩვენი პლანეტის მოსახლეობის ოთხმოცი პროცენტი შიმშილობს. ეს კატასტროფული ფაქტი საჭიროა აღმოიფხვრას. სასიცოცხლო რესურსები ყველა სახელმწიფოზე შექცევისდაგვარად თანაბრად უნდა გადანაწილდეს. აშშ-ში ხელფასები და პენსიები დიდია. იქ ერთმა მცხოვრებმა კატისთვის ჩვიდმეტი მილიონი დო-

ლარის ღირებულების სასახლე შეიძინა, მაგრამ სხვა ქვეყნების მოსახლეობა უკიდურეს გაჭირვებას განიცდის.

დედამიწა ულევ სასიცოცხლო რესურსს არ შეიცავს, ამიტომ მას ეკონომიურად უნდა ხარჯვა — მომავალ თაობებსაც ხომ სჭირდება საარსებო წყარო.

ამჟამად მრავალი სახელმწიფო ბუნებას დაუდევრად ეპყრობა. აღიარებულია, რომ ბრაზილიის ტყეებს დედამიწის ფილტვს უწოდებენ... რომ ადგნენ ბრაზილიელები და თავიანთი ტყეების უმოწყალოდ ჩეხვა დაიწყონ, დედამიწის ატმოსფეროს ჟანგბადი ძლიერ დააკლდება. რალა შორს მივდივართ, თურქეთს სურს მტკვარს მიმართულება შეუცვალოს და შავ ზღვას მიუერთოს. საქართველო ამ შემთხვევაში მთავარი მდინარის გარეშე დარჩება. გლობალიზაციის არსებობის პირობებში არც ერთ სახელმწიფოს უფლება არ ექნება მეზობელი სახელმწიფოს ინტერესები არ გაითვალისწინოს; არ გაითვალისწინოს კაცობრიობის ინტერესები.

მასობრივი მიგრაციის შეწყვეტა გლობალიზაციის სამსახურებს დაევალება. რაკი ეკონომიკის განვითარება საყოველთაო წესებს დაექვემდებარება, აგრეთვე სასიცოცხლო რესურსები ყველა სახელმწიფოზე თანაბრად გადანაწილდება, კონტროლს დაექვემდებარება თითოეული სახელმწიფოს დემოგრაფია და არ მოხდება დედამიწაზე მოსახლეობის მნიშვნელოვანი გაზრდა, ადა-

მიანები არ მოისურვებენ სხვა ქვეყნებში გადასახლებას.

გლობალიზაციის ზრუნვის საგანი გახდება საყოველთაო ჰუმანურობის დამკვიდრება; ასე ვთქვათ, საყოველთაო იდეოლოგიის შემუშავება, რაც მეტ-ნაკლებად ყველა ხალხისთვის მისაღები გახდება.

ჩემუელი განმარტებით, გლობალიზაცია კაცობრიობის ცივილიზებული ყოფის საერთაშორისო ინსტიტუტია. მისი ამოცანებია: ადამიანის პირველადი დაწინშულების — სამყაროს გაცნობიერებისთვის ხელშეწყობა; ჰარმონიული საზოგადოების ჩამოყალიბება; ეროვნული ცნობიერების თანმხედენი საყოველთაო ღირებულებების სრულყოფა; საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის პირობებში სახელმწიფოთა შორის თანასწორუფლებიანობისა და ეკონომიკური თანასწორობის მიღწევა; პლანეტის სასიცოცხლო რესურსების ეკონომიური ხარჯვა; ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება; კლიმატთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება; დემოგრაფიის რეგულირება; მიგრაციის შეჩერება.

გლობალიზაციის მართვის ორგანო მოთავსდება რომელიმე ქვეყანაში, ხოლო მისი ფილიალები იფუნქციონირებენ ყველა სახელმწიფოში, რომელთაც დაევალებათ კაცობრიობის ყველა საჭირობო რესურსის გადანაწილება და პრაქტიკაში დანერგვა. ბევრს ჰგონია, რომ გლობალიზაცია ერების გაქრობას ნიშნავს. სწორედ იგი იქნება გარანტი მცირერიცხოვანი ერების გადარჩენისა. ზოგი გმობს გლობალიზაციას, მაგრამ მას შეუძინველი რჩება ის ფაქტი, რომ ყველა დიდ სახელმწიფოს სურს საკუთარი „გემოვნებით“ განხორციელდეს გლობალიზაცია. ამის ნიადაგზე ხდება ინტერესთა დაჯახება და გამორიცხული არ არის მესამე მსოფლიო ომის დაწყება. ჩვენი მოსაზრებით, გლობალიზაციის განხორციელებაში ყველა სახელმწიფომ, განურჩევლად სიდიდისა და სიძლიერისა, თანაბარი წვლილი უნდა შეიტანოს. დაუშვებელია, რომელიმე სახელმწიფომ ჰეგემონობა დაიჩემოს ამ საკაცობრიო მნიშვნელობის საქმეში.

* * *

მართალია, განვითარებულ ქვეყნებში რელიგია განცალკევებულია სახელმწიფოსგან, მაგრამ იქაც კვლავ შენარჩუნებულია მისდამი პატივისცემა. მაგალითად, დიდი ზარ-ზეიმით იხდები შობის და აღდგომის დღესასწაულებს. ამიტომ რელიგიის უფრო ვცემთ პატივს, ვიდრე რელიგიასო, გვიმტკიცებენ ისინი.

თუ ადრეულ საუკუნეებში რელიგიები სისხლისმიერად იყვნენ დაპირისპირებული, ამჟამად იგრძნეს რა, რომ ყველა რელიგიას საფუძველი ეცლება, ერთმანეთთანადი სოლიდარული გახდნენ. მაგრამ ზოგ რელიგიაში არსებულმა ექსტრემისტულმა ელემენტებმა კიდევ უფრო გააძლიერეს შუღლი და კაცობრიობას წარღვე-

ნით ემუქრებიან. რასაკვირველია, ტერორისტებს ძალა უნდა დაეუპირისპიროთ, მაგრამ გადაუდებელ ამოცანად მიმჩნია გლობალური მასშტაბით გამოვიდნენ ყველა ქვეყნის ინტელექტუალები და ახსნან ყველა რელიგიის არსი.

როგორც ვიცით, საბჭოთა კავშირში ებრძოდნენ ყველა რელიგიას, მაგრამ ამით ადამიანის სულიერებას არაფერი დაკლებია. საბჭოთა იმპერიის სიყვარულს ვერავინ დამაბრალებს, მაგრამ იმდროინდელი ადამიანის შეგნება, მორალი გაცილებით მაღლა იდგა, ვიდრე დღევანდელისა. იმდენად თვალშისაცემია ეს ფაქტი, რომ ამის უარყოფა არავის შეუძლია.

ჩემი მოსაზრებით, ღმერთი არის პირობითი სახელწოდება ირაციონალური არსისა. ირაციონალური არსი კი ადამიანის გონისთვის ყოველთვის მიუწვდომელი იქნება. სწორედ ამ ირაციონალური არსის „ამსხნელია“ რელიგია. ახლა მკითხველმა წარმოიდგინოს რა ხარისხის იქნება ადამიანისთვის მიუწვდომელი არსის ახსნა.

რელიგია გვიმტკიცებს, რომ ღმერთი მიუწვდომელია, მაგრამ იქვე ახასიათებს ღმერთს. ეს ისე გამოდის, რომ დაწყებითი სკოლის მოსწავლე შეაფასოს სახელგანთქმული მეცნიერის მოღვაწეობა. ამდენად, რელიგიის მიმდევარი უფრო მეტად შეუარაცყოფს ღმერთს, ვიდრე ათეისტი.

ცნობილია, რომ ანტიკური ხანის ცივილიზაციამ დიდ წარმატებას მიაღწია. შემდგომში რელიგიები ამ ცივილიზაციის შემფერხებელი საშუალება აღმოჩნდა. მრავალი საუკუნის განმავლობაში რელიგიას და მეცნიერებას სამკვედრო-სასიცოცხლო ბრძოლები ჰქონდა გამართული. გავიხსენოთ, როგორ დასაჯეს რელიგიის წარმომადგენლებმა ჯორდანო ბრუნო.

მილიონობით ადამიანი შეენირა ეგრეთ წოდებულ ჯვაროსნულ ლაშქრობებს და ჰაზავათს. შემომდეგებიან და მეტყვიან: ამ სისხლის ღვრაში რელიგია არაფერ შუაშია, ცალკეული ინდივიდები და ადამიანთა ჯგუფი სწადიან ყოველგვარ დანაშაულსო. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა არასწორია. სწორედ რელიგიური მონივრებით ხდება მრავალი ომის გაჩაღება. ბოლშევიკურ იდეოლოგიაში ვერსად შენიშნავთ ძალადობის ქადაგებას, მაგრამ ამ იდეების განხორციელებას მილიონობით ადამიანი შეენირა.

ძირითადად ომები ხდება სახელმწიფოთა ინტერესების დაჯახების

შედეგად. ასე ვთქვათ, სახელმწიფოთა ინტერესები მარადიული კატეგორიაა. სანამ სახელმწიფოები იარსებებენ, იარსებებს სხვადასხვა ინტერესი. ამის აღმოფხვრა შეუძლებელია. რელიგია არ არის მარადიული კატეგორია. ხალხები ზოგჯერ იცვლიან რელიგიას. გამოდის, მისი ამოფხვრა შესაძლებელია და რაც მალე ამას გააკეთებს კაცობრიობა, მით უკეთესი, ვინაიდან ერთი პრობლემა — რელიგიების დაპირისპირების გამო ადამიანების მსხვერპლი — მაინც გადაწყდება.

ყოველად დაუშვებელია იმის თქმა, რომ ეს რელიგია კარგია, ხოლო სხვა — ცუდი. სწორედ ამ უპირატესობის დამტკიცებას თან სდევს სისხლის ღვრა და ძალადობა.

სამყაროს წარმოშობის შესახებ ადამიანს ამჟამადაც კი უსასრულოდ მცირე წარმოდგენა აქვს. ეს უსასრულო მცირე ვერასოდეს გახდება იმ სიდიდისა, რის მეოხებითაც მოხდება სამყაროს წარმოშობის ახსნა. მათემატიკაში ცნობილი დებულებაა — უსასრულო მცირეთა ჯამი, როდესაც უსასრულო მცირეთა შესაგრებათა რიცხვი სასრული სიდიდეა, მაინც უსასრულო მცირე იქნება. მკითხველისთვის რომ გასაგები გახდეს, მარტივად ვთქვათ, უსასრულო მცირე რაც უნდა დიდ რიცხვზე, მაგალითად ტრილიონზე გაგამრავლოთ, მაინც უსასრულო მცირეს ეტოლება.

ამრიგად, სამყაროს წარმოშობა-არწარმოშობაზე მსჯელობა ფუჭი საქმეა. კაცობრიობამ ათასი ბილიონი წელიწადი რომ იარსებოს, მისთვის მაინც მიუწვდომელი იქნება სამყაროს წარმოშობის საიდუმლოება.

ზოგი სახელგანთქმული მეცნიერიც კი უხეშ შეცდომას უშვებს, როდესაც აცხადებს — სამყაროს წარმოშობის





საკითხებს ვარკვევო. სინამდვილეში ის სამყაროში მიმდინარე რომელიმე მოვლენის წარმოშობის მიზეზებს არკვევს.

რასაკვირველია, ახალგაზრდა კაცისთვის, რომელსაც სათანადო განათლება არ მიუღია, ძნელად გასაგები გახდება ზემოთ მოყვანილი მსჯელობა. თუ მას დღენიადაგ შთავაგონებთ, რომ რელიგიისთვის თავგანწირვა წმინდა საქმეა, დაიჯერებს.

ფსიქოლოგიაში ცნობილია, რომ დიდი სიყვარული ვინმესადმი და რისიმესადმი ადამიანში იწვევს მარადიული სიცოცხლის განცდას. ასეთი ინდივიდისთვის სიცოცხლის დათმობა არ წარმოადგენს რთულად გადასანყვეტ საკითხს. გავისხენოთ იაპონელი ხარაკირების საქციელი და იგივე იაპონელი მფრინავების — კამიკაძეების ქმედება. კიდევ ერთი ფსიქოლოგიური ფაქტორის გათვალისწინებაა საჭირო. ყველა ადამიანში არის თავის გამოჩენის სურვილი, ადამიანებს არ სურთ ჩვეულებრივი, რუტინული ცხოვრება. ურჩევნიათ მუდმივად ფათერაკებში ცხოვრება და ბევრი ფული, ვიდრე ჩვეულებრივი საქმიანობით ლუკმაპურის მოპოვება. ადრე არავის უკვირდა დაქირავებული ჯარისკაცის არსებობა. ასეთი ჯარისკაცები საკუთარი სიცოცხლის ფასად ნებისმიერ სახელმწიფოს ემსახურებოდა.

ხშირად მოვისმენთ, საქართველოში არ ხდება მუსლიმანური რელიგიის მიმდევარი ადამიანების ინტეგრაცია ქრისტიანებთან, არც არასოდეს მოხდება. იმისთვის, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხების დარაზმა მოხდეს ქართული სახელმწიფოს გასაძლიერებლად, საჭიროა: ყველა დამაბრკოლებელი ბარიერის ნეიტრალიზება (ნეიტრალიზება არ ნიშნავს მოსპობას) — რელიგიათა შორის ურთიერთკომპრომისის მიღწევა, ან რელიგიების ამოფხვრა, ქართული ენის თანდათანობით ყველა ხალხისთვის სავალდებულო ენად ქცევა და, ზოგადად თუ ვიტყვით, ყველა ხალხის მისწრაფებათა ერთ მდინარებაში მოქცევა ქართული სახელმწიფოებრიობის გასაძლიერებლად. თუ ვინმე ამის წინააღმდეგი წავა, ბუნებრივია, თუკი ეს ქცევა არ ექვემდებარება სისხლის სამართლის დანაშაულს, მასზე ვერ განვახორციელებთ რაიმე სადამსჯელო ღონისძიებას, მაგრამ ამგვარი ადამიანების რიცხოვნობის დადგენა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს.

მოკლედ, ადამიანის ქცევას უსასრულო ფაქტორები განაპირობებს. ბუნებრივია, ყველა ამ ფაქტორის გაცნობიერება ადამიანის გონს არ შეუძლია, ამიტომ თუ მოცემულ დროს რაიმე პრობლემა იჩენს თავს, მას უმაღლეს უნდა გადაწყვეტა, წინააღმდეგ შემთხვევაში ძნელი გახდება დაგროვილ პრობლემათა გადაწყვეტა. ზოგჯერ ძნელდება რაიმე პრობლემის შემჩნევა, ამიტომ ამა თუ იმ პრობლემის სამზეოზე გამოტანა საშური საქმეა.

უპირველესად საჭიროა თვით ქართული ეთნოსის შიგნით ურთიერთშეთანხმების, ჰარმონიის მიღწევა. 2012 წლის ოქტომბერში ხომ გავერთიანდით და გავილაშქრეთ სააკისტების წინააღმდეგ, რომელთაც ზურგს უმაგრებდა ევროპა ხუთასი მილიონი მოსახლეობით და სამასმილიონიანი მცხოვრებით აშშ-ში. გავიმარჯვეთ. ამჟამადაც ამგვარი გაერთიანება გვმართებს, ვინაიდან იგივე ძალები მხარს უჭერენ სააკისტებს და მასთან მიმხრობილ სატელიტებს, მაგალითად, ალასანიას პარტიას. ნებისთი თუ უნებლიეთ სააკისტების მხარდამჭერებად გვევლინებიან ეგრეთ წოდებული არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიები.

არავინ იფიქროს, რომ ვენინააღმდეგებით დასავლეთთან მჭიდრო კავშირს, სრულიადაც არა — მომხრენი ვართ მათთან მყარი ურთიერთობა გვექონდეს, მაგრამ ზემოხსენებული ავისმქმნელების გარეშე.

ონისა მხარიაშვილი.

რ. ს. გლოუბლიზაციის შესახებ რამდენიმე წლის წინათ მისდამი მიძღვნილ კონფერენციაზე მოხსენებით გამოვედი. გლობალიზაციის ჩემული განმარტებით ყველა დაინტერესდა და იქვე, დამსწრე უცხოელებისთვის ეს განმარტება ინგლისურად გადათარგმნეს. ქართველი ხალხი არ არის მიჩვეული განსხვავებული აზრის მოსმენას. განსხვავებული აზრის გაცხადება არ არის ამა თუ იმ პარტიის მხარდაჭერა. წინამდებარე სტატიაში გამოთქმული მოსაზრებანი ურვეულო იქნება ქართველი მკითხველისთვის, მაგრამ საღად მოაზროვნე თეორეტიკოსებისთვის იგი, ფიქრობ, საყურადღებო აღმოჩნდება, რამაც ამ თემის გასაშუქებლად კალამი ამაღებინა.

ო. მ

© შეუცვლელი არაჰინაა

...ქეთილი ინება და საერთოდ ჩამოშორდი პოლიტიკას!

ნატოს საკითხის გარკვევისთვის

ამ საკითხის გარკვევისთვის უახლეს წარსულში მცირედენი ექსკურსი მოვახდინოთ. 1918 წლის 11 ნოემბერს გერმანიამ შეწყვიტა ბრძოლები და შეიძლება, ეს თარიღი გამოცხადდეს პირველი მსოფლიო ომის დამთავრების თარიღად. 1919 წლის აგვისტოში გამარჯვებული სახელმწიფოები საიდუმლოდ შეიკრიბნენ ვერსალში და სხვა საკითხებთან ერთად მსოფლიოს ნელახალი გადაწანის შესახებაც შეთანხმდნენ. ამ საიდუმლო შეთანხმების შედეგად რუსეთის გავლენის სფეროდან გამოიყვანეს ბალტიისპირეთის ქვეყნები, პოლონეთი და აღმოსავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოები, ხოლო ყაზახეთი, შუა აზიისა და კავკასიის ქვეყნები კვლავ დატოვეს რუსეთის გავლენის სფეროში. ამით ისარგებლეს ბალტიისპირეთის ქვეყნებმა და რუსეთისგან გამოეყოფილენ დაამოუკიდებლობა გამოაცხადეს, რასაც კრემლი შეეგუა და აღარ უცდია მის დასაბრუნებლად რაიმე ღონისძიებისთვის მიემართა.

1939 წელს (23 აგვისტო) გერმანია-საბჭოთა კავშირის შეთანხმების შედეგად დაიარღვა ადრე დამყარებული სტატუს-კვო და პოლონეთი ოკუპირებული იქნა გერმანიის მიერ, ხოლო საბჭოთა კავშირმა მიიერთა ბალტიისპირეთის სახელმწიფოები. და, როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, იმჟამადაც კრემლმა, ახსოვდა რა ვერსალის შეთანხმება მსოფლიო ხელახალი გადაწანის შესახებ, აღარ მიმართა სერიოზულ ზომებს რუსეთის გავლენის სფეროში მათ დასაბრუნებლად, ხოლო კავკასიაში, შუა აზიასა და ყაზახეთში გავლენის სფეროს შესანარჩუნებლად ყველა ზომას მიმართავს. მეორეც, გაუქმდა ვარშავის ხელშეკრულება, დაიშალა საბჭოთა კავშირი და წესის თანახმად, ნატოც უნდა გაუქმებულიყო, ვინაიდან მისი ფუნქცია სწორედ ის იყო, რომ წინ აღდგომოდა საბჭოთა იმპერიის აგრესიას. მოხდა პირიქით — ნატომ გაფართოება იწყო, რამაც აღშფოთება გამოიწვია რუსებში. თუ კრემლი ასე თუ ისე შეეგუა ბალტიისპირეთის ქვეყნების განეგრებას ნატოში, დანარჩენი ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ნატოში გაერთიანებას რუსები მთელი შესაძლებლობებით შეეწინააღმდეგებიან.

დასავლეთი იმითაც დიდად კმაყოფილია, რაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მიიღო — ნატო რკალივით შემოერთდა რუსეთს. შედეგად, დასავლეთმა რუსეთს აღუთქვა, რომ ნატოს გაფართოება რუსეთის ინტერესების სანინააღმდეგოდ აღარ მოხდება. ამის დამადასტურებელი არგუმენტია ობამას და დასავლეთის სხვა სახელმწიფოების მეთაურების განცხადება ნატოსთან მიმართებაში. თუმცა საქართველოს და სხვა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ინტერესებში შედის ნატოს გაფართოება, რათა საბოლოოდ დაითრგუნოს რუსეთის აგრესიული ზრახვები. სამართლიანობა სხვაა და რა შედის ამა თუ იმ სახელმწიფოს ინტერესებში — სხვა.

მიუხედავად ზემოთ თქმულისა, დღენიადაც გაისმის ხმები ნატოში ეს-ეს არის მიგვიღებენო. რამდენად გამართლებულია ეს რიტორიკა? — ვიტყვოდი — გამართლებულია, მაგრამ ამის ნამეტარი (და არა ნამეტანი) აფიშირება ზიანის მომტანიც კია. ხელისუფლება ამგვარი განცხადებით თავს იტყუებს. ამ თავის მოტყუებაში დასავლეთის სახელმწიფოებიდან სერიოზულ დახმარებას ვიღებთ, სიმართლე რომ ითქვას, ნატოს გარეშეც შეიძლება დასავლეთთან მჭიდრო კავშირის დამყარება. ამრიგად, დასავლეთს ჰგონია გვატყუებს, ჩვენ კი პირიქით გვგონია — მას ვატყუებთ. ამ ტყუილებით არც ერთი მხარე არ ზარალდება — ორივე მხარე იგებს. მიუხედავად იმისა, რომ არ ვართ ნატოს წევრი, კრიტიკული ვითარების პირობებში, ნატოს დახმარების იმედი მაინც გვაქვს.

შემომედავებიან — 2008 წელს რატომ მიგვატოვა ნა-

ტომო? თვით ბუშმაც კი სააკაშვილი დაადანაშაულა ომის პროვოცირებაში. სხვა არაფერს ნიშნავს მისი ეს განცხადება: რუსეთს საქართველოს დასჯა არაპროპორციულად გამოუვიდაო. ესე იგი, ცხინვალის დაბრუნებისთვის, რაც ომის დაწყებას ნიშნავდა, სააკაშვილი დასასჯელი იყო, მაგრამ რუსეთმა გადააჭარბაო.

რუსეთ-საქართველოს ომი სხვა თემაა და ამის შესახებ მრავალჯერ დამინერია.

უნდა ვალიაროთ, ქართველი ხალხი მოვლენებში სუსტად ერკვევა, ამიტომ ხელისუფლებას ძალიან უჭირს რაიმე ლავირება, მანევრირება. თუ ხელისუფლებამ მოისურვა რაიმე ტაქტიკური სვლის გაკეთება სტრატეგიული გეგმების შესასრულებლად, საქმეში ჩაუხედავი ადამიანები უმაღლეს ყვირილს ატეხენ — ხელისუფლება ქვეყანას კატასტროფისკენ მიაქანებსო. ასეთ ვითარებაში ძალზე ფერხდება სტრატეგიული გეგმების შესრულება.

ქალბატონი ნინო ბურჯანაძე ამუნათებს ხელისუფლებას — რით ვერ გაიგეთ, რომ ნატოში არ მიგვიღებენო? ბურჯანაძეს შევახსენებთ, რომ ის იყო სააკაშვილის მარჯვენა ხელი, თუ ორეული არა. სააკაშვილმა, ჟვანიამ და ბურჯანაძემ, შეიძლება ითქვას, საქართველოს მოუწვევს შეთქმულება პარლამენტიდან და ითხოვეს რა მეცნიერები და სპეციალისტები და მათ მაგივრად მომხრე უმეცარი გოგო-ბიჭები მიიღეს ნამყვან სპეციალისტებად. სწორედ ეს იყო ნიშანი სახელმწიფო გადატრიალების, რაც 2003 წელს „დავირგვინდა“. მოზრდილი სტატია კი არ არის საკმარისი იმ დანაშაულების ჩამოსათვლელად, რაც ზემოხსენებულმა სამეფლმა ჩაიდინა საქართველოს წინაშე.

რამდენიმე წლის წინათ რუსულმა საზოგადოებამ აღნიშნა რუსული სახელმწიფოს დაარსების იუბილე. პეტერბურგში დაპატივეს ყველა სახელმწიფოს ლიდერი. საქართველოდან მინვეულ იქნა ქალბატონი ნინო. სიტყვითაც გამოვიდა და კორიანტელი დააყენა — უკანასკნელი სიტყვებით ლანძღა წარსულის და ამჟამინდელი რუსული სახელმწიფო. დამსწრენი ერთმანეთს გაოგნებულები შეჰყურებდნენ და ხმამაღლა გამოთქვამდნენ ბურჯანაძის მიმართ საყვედურს — რომელი ქვეყნიდან ჩამოვიდა, იქ სტუმარ-მასპინძლობის ეტიკეტი არ არსებობსო!? რასაკვირველია, კავკასიელ ხალხს ვერავინ ასწავლის სტუმარ-მასპინძლობის ეტიკას, მაგრამ გამონაკლისი ინდივიდები საქართველოსაც უხერხულ მდგომარეობაში აყენებენ და კავკასიელ ხალხსაც. ამჟამად კი ბურჯანაძე უპირველესი რუსეთში გახდა. მასზე ზედგამოჭრილია ქართული ანდაზა: ასე ჩემო მანასო, ხან ისე და ხან ასეო. ყოველივე ეს იმის მაუწყებელია, რომ ბურჯანაძის მსგავსი ინდივიდებისთვის ყოველთვის მიუწევდომელი იქნება ინტეგრალური პოლიტიკის არსი.

დასკვნა: ხელისუფლებამ კვლავ უნდა განაგრძოს ნატოში გაწევრების პროპაგანდა, მაგრამ ზომიერების დაცვით, ხოლო ვისაც შესება არ აქვს ხელისუფლებასთან და ძალუძს საკუთარი მოსაზრების ქალაღზე გადატანა ან ტელევიზიით გამოსვლა, მან სიმართლე უნდა თქვას, მაგალითად, როგორც ეს წინამდებარე სტატიაშია გადმოცემული. ნორმალურ სახელმწიფოში ხელისუფლება და ხალხი, ასე ვთქვათ, ერთმანეთს უნდა ავესდნენ.

ამ ლოგიკით ბურჯანაძე შეიძლება შემომედაოს — მეც ვაცხებ ხელისუფლების მიერ შექმნილ ვაკუუმსო. ვაკუუმში უნდა შეავსოს, ვინც არ ყოფილა ხელისუფლებაში და წარსულში სერიოზული შეცდომები არ დაუშვია. 9 წლის განმავლობაში ითანამშრომლე კაცთმომღელ სააკაშვილთან და ამჟამად კეთილი ინებე და საერთოდ ჩამოშორდი პოლიტიკას. შეუცვლელი არავინაა. თავს ნუ წარმოგვიდგენთ დე გოლად ან ჩერჩილად!

ზაბრო ონიავილი

© ალიან-ჩალიანი

ალბანეთის პარლამენტი „საქართველოს მემოგარტა ჯგუფს“ ქმნის

საბარტმელოს თავდაცვის მინისტრი თინათინ სიდაშელი ალბანეთის პარლამენტის სპიკერს ილირ მეტას შეხვდა. მხარეებმა ორი ქვეყნის ორმხრივი ურთიერთობების გაძლიერების გზაზე საპარლამენტო დიალოგის მნიშვნელობაზე გაამახვილეს ყურადღება.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცნობით, პარლამენტის სპიკერმა ილირ მეტამ შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა, რომ ურთიერთობების მეტად გაღრმავების მიზნით ალბანეთის პარლამენტში „საქართველოს მემოგარტა ჯგუფი“ იქმნება. სპიკერის თქმით, ნატო-საქართველოს ურთიერთობების ინტენსიფიკაციის პირობებში და ნატოს ვარშავის სამიტამდე, უმნიშვნელოვანე-



სია, ალბანეთის, როგორც ნატოს წევრი სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანოს კიდევ უფრო გააქტიურება, რომელიც შესაძლებელია მნიშვნელოვან გააძლიერებებში, მხარდაჭერა რეზოლუციებსა და განცხადებებში გამოიხატოს.

ალბანეთი მხარს უჭერს საქართველოს ხელისუფლების ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის კურსს, ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს. როგორც ილირ მეტამ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, ალბანეთი იყო და დარჩება საქართველოს ერთგული პარტნიორი და მეგობარი სახელმწიფო. საქართველოს თავდაცვის მინისტრი ალბანეთში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება.

XO-308-360, მედიაციის

© რას წერენ, რას აზრობენ ჩვენზე

„ძარტულ ოცნებაში“ აცხადებენ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მალე დაბრუნების შესახებ — ჟურნალისტებისთვის ეს ცნობები გახდა კოალიციის პოლიტ-საბჭოს სსდომის დამთავრების შემდეგ. მაგრამ უმრავლესობაში გამორიცხავენ ივანიშვილის ჩართვას „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაში. ექსპერტებს არ სურთ გადაჭარბებით შეაფასონ ივანიშვილის ფიგურის გავლენა პარლამენტის მომავალი არჩევნების შედეგებზე. „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ ძირითადი ფაქტორები გახდება ოპოზიციის სისუსტე და გათიშულობა, და არა ყოფილი პრემიერის გავლენა.

„ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს სსდომაზე ესწრებოდნენ საქართველოს ყოფილი და ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრები — ბიძინა ივანიშვილი და ირაკლი ლარიბაშვილი. რის შესახებ საუბრობდნენ კოალიციის ხელმძღვანელები, ზუსტად უცნობია, ვინაიდან შეხვედრა ჟურნალისტებისთვის იყო დახურული, მაგრამ მისი შედეგების შესახებ საზოგადოებას ინფორმაცია, მიანოდა უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა ზვიად კვაჭანტირაძემ:

„ბიძინა ივანიშვილი „ქართული ოცნების“ კვლავ უტყუარი ლიდერი და სულისჩამდგმელია, და მისი მხარდაჭერა ჩვენთვის გადამწყვეტია. ახალი წლიდან ბიძინა ივანიშვილი აქტიურ მონაწილეობას მიიღებს „ქართული ოცნების“ პარტიულ და კოალიციურ ღონისძიებებში“, — დაგვარწმუნა დეპუტატმა.

თავის მხრივ, მეორე პარლამენტარმა უმრავლესობიდან ელისო ჩაფიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ პარტიულ საარჩევნო სიაში ივანიშვილის ყოფნა არ არის პრიორიტეტული კოალიციისათვის, ვინაიდან ივანიშვილის მაღალი ავტორიტეტი ისედაც საკმარისია, რომ აღმოუჩინოს გადაწყვეტი მხარდაჭერა „ქართულ ოცნებას“ არჩევნებზე.

ორივე განცხადებამ თვალსაჩინოდ აჩვენა, რომ თავისი მრავალრიცხოვანი შეცდომების საკომპენსაციოდ მმართველი კოალიცია ცდილობს წინასაარჩევნო რბოლაში გამოიყენოს ივანიშვი-

უსასო კოალიცია ივანიშვილის მოლოდინში



ლის ფიგურის გამოყენა, განმარტავს პოლიტოლოგი გია ხუხაშვილი:

„თუ უმრავლესობის მოქმედებას შევხედავთ ყოფითი თვალსაზრისით, ხელი-სუფლება მოქმედებს მოუქნელი დონდლო კაცის დონეზე, რომელმაც მთელი თავისი ახალგაზრდობა უსაქმურთა წრეში გაატარა. ახლა კი როდესაც გადააწყდა სირთულეებს, იგი დასახმარებლად უხმობს „მამიკოს“. და იგიც მიუხედავად იმისა, რომ ბიჭი არ მუშაობდა და არ სწავლობდა, საუკეთესო ქართულ ტრადიციებს არ მისდევდა, სასწრაფოდ მიდის მათ დასახმარებლად“.

ეს ყოველივე სასაცილო იქნებოდა,

ქვეყანას რომ არ ემუქრებოდა სერიოზული რყევები, განაგრძობს გია ხუხაშვილი:

„დღეს უმრავლესობა იქცევა პარაზიტის დონეზე, რომელიც ცდილობს სხვის ანგარიშზე გააგრძელოს ხელისუფლებაში ყოფნის ვადა. ჩემი აზრით, გაცილებით უფრო მნიშვნელოვან შანსს მათ აძლევს არა ივანიშვილის ფიგურა, არამედ ოპოზიციის გათიშულობა და აშკარა სისუსტე. ტრადიციულად, ჩვენს ამომრჩეველს უხდება გააკეთოს არჩევანი ცუდსა და ძალიან ცუდს შორის. ნაციონალური მოძრაობის უაღტერნატივობა, რომელიც უკანასკნელი

წლების განმავლობაში ასდგნს პოზიციონირებას, როგორც ერთიანი ოპოზიციური ძალა, უწევს შეუფასებელ დახმარებას „ქართულ ოცნებას“. შედეგად, ხელისუფლება ცუდია, მაგრამ ოპოზიცია კიდევ უარესი“, მსჯელობს ამომრჩეველი.

ანალოგიური აზრი აქვს პოლიტოლოგ ვახტანგ ძაბირაძესაც:

„უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში კოალიციის სიღრმეში მაინც არ გამოჩნდა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ლიდერი, რომელიც სათავეში ჩაუდგებოდა საარჩევნო სიას და გახდებოდა უმრავლესობის რეალური პირი. გამოდის რომ, თუ ამჟამად ივანიშვილი უარს იტყვის სათავეში ჩაუდგეს უმრავლესობას, მაშინ მათ უბრალოდ არ ექნებათ სახე, ეს კი სერიოზული დაბრკოლებაა არჩევნებზე“.

5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიმუშაოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც

		უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;
		ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;
		გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;
		დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;
		ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;
		ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჰის და ჰაბურ-დილის თავმართულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჰაბურდილის შემთხვევაში – მისი პერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;
		ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო ობიექტის (ჰაბურდილი) შემოღობვა;
		თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);
		ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ახალციხის მუნიციპალიტეტი, სოფ. საყუნეთის ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით) კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 63 875 მ³/წელიწადში)
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ახალციხის მუნიციპალიტეტი, სოფ. საყუნეთის ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	1 433 ლარი
9	ზიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	143,3 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/შეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	917 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 18 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 18 იანვარს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 18 იანვარს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 18 იანვარს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	8 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 13		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ-ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული

	ობიექტით სარგებლობისათვის	მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიმინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ლილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი პერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაცება; ზ) სალიცენზიო ობიექტი (ჭაბურღილი) საჭიროებს შემოღობვას და ტერიტორიის დასაფოთავებას. თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქ. ქუთაისი, 9 აპრილის ქ. N3, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 5 000 მ³/წელიწადში).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქ. ქუთაისი, 9 აპრილის ქ. N3
8	აუქციონის საწყისი ფასი	162 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	16,2 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	281 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 18 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 18 იანვარს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 18 იანვარს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 18 იანვარს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	25 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 14		
	ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ-ფოსტა	Licenziebi@yahoo.com

4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიმინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ლილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი პერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაცება; ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქ. საჩხერე, დავით აღმაშენებლის ქუჩა, (მიწისქვეშა მტკნარი წყალი სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 3 650 მ³/წელიწადში).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქ. საჩხერე, დავით აღმაშენებლის ქუჩა
8	აუქციონის საწყისი ფასი	118 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	11,8 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა - 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	259 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 18 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 18 იანვარს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 18 იანვარს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 18 იანვარს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	25 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 15		
	ბუნებრივი რესურსებით	ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ-ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დადგენილი მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიმუშაოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დადგენილი მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა აგრეთვე. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების ადების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ქის და ჭაბურღილის თავმოერთების მოწყობისა, ხოლო თვითმდენი
		ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი პერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება; ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით); თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქ. თბილისი, გულიას ქუჩა №1 (ნაგვ. 04/013), მიწისქვეშა მტკნარი წყალი (საპეიარმეო დანიშნულებით) კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 10 950 მ ³ /წელიწადში.
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქ. თბილისი, გულიას ქუჩა №1 (ნაგვ. 04/013)
8	აუქციონის საწყისი ფასი	275 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	27,5 ლარი
10	უპირობო და გამოუსწოვო საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	338 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 18 დეკემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 18 იანვარს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 18 იანვარს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 18 იანვარს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	10 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ნატურადან

ალეანის „პარტნიორობის კალათიდან“ უსვებ „გაფართოების კალათაში“

ამბირ უკვე ორ ათეულ წელზე მეტია, ნატოში, რომლის კარი ერთდროულად ღიაა არის და დახურულიც, შესასვლელად ვეზადებით, მაგრამ შიგნით ვერა და ვერ შევალწით. ჩვენი ალიანსელი მეგობრები რაღას ალარ იგონებენ, რომ მაპის მოცემა რაც შეიძლება შორს გადასწიონ. ადრე იმით გვახსენებდნენ, რომ მაპზე „უკეთესი დაპირება“ გვექონდა, შემდეგ „ასპირანტობაში“ გამოგვანერგეს, ახლახან ჩატარებულ მინისტერიალზე მონტენეგრო მიიწვიეს, ჩვენ კი კვლავ მაპის მოსაპოვებელ გზას გაგვიყენეს. პირველ ხანებში თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი ვარშავის სამიტისგან მაპის აუცილებლად მიღებას მოითხოვდა, ახლა შედარებით დაიმორცხვა, ამბობს: მონტენეგროს მიწვევა იმას ნიშნავს, რომ „საქართველოს საკითხი ერთხელ და სამუდამოდ ალიანსის „პარტნიორობის კალათიდან“ ღია კარის, ანუ „გაფართოების კალათაში“ გადავიდაო“.

ვერ გეტყვით, საქართველოს ერთი კალათიდან მეორე კალათში გადასვლის ნატოურმა კურსმა რამდენად გააძნევეს ქვეყნის ხელისუფლებამ და მისი ოპოზიციამ მონათელი ნაცუმიცირესობა, მაგრამ ოთხმოცს გადაცილებულ ბესო ბენუქელს რომ სული აუფორიატა, ამას პირადად შევესწარი. მართალია, ზოგის ის მიხრწნილად ეჩვენება, მაგრამ ფაქტია, რომ ამხნის კაცი გამოუსწორებელი ოპტიმისტია. სხვამ რაც უნდა ილაპარაკოს, ბესო თავს ბედნიერად თვლის, რომ რეფორმირებულ საქართველოში ცხოვრობს და გაზრდილ პენსიას იღებს. მართალია იმ 160 ლარიდან, რომელსაც სახელმწიფო აძლევს, 190 ლარი მედიკამენტებში ეხარჯება, მაგრამ უცხოური მაღალკალორიული ნამლებით ისეა დაპურებული, რომ საჭმლისკენ აღარც იყურება. განსაკუთრებით ქვეყნის პირველ ფინანსისტ ხადურს ემდლიერება, კიდევ კარგი ჭამა-ყლაპვა თავადაც უყვარს, თორემ ჩვენი თვის ამხელა პენსიას ვერ გამოიმეტებდაო.

ერთადერთი აუხდენელი ოცნება, რაც ბერიკაცს მაგლაჯუნასავით აწევს, ნატოში საქართველოს შეუღწევლობაა. ღვიძავს თუ ძინავს, ბესო პაპა ერთთავად იმის ნატოვრია, ღმერთმა ისე არ ინებოს მისი იმ ქვეყნად გასტუმრება, რომ ნატოში შესვლის წყურვილი არ დაიკმაყოფილოს. განა საიქიოში არ ესიაშენება ამის გაგება, მაგრამ ურჩევნია, იქ აქედანვე გულდაშვადებული გაემგზავროს.

ამის მომენტი თითქოს რეალურად დაუდგა კიდევ ბერიკაცს, როცა საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ეწვია ნატოს თავკაცი და აქ ალიანსის სანვრთელი ცენტრი გახსნა, მაგრამ ამასწინანდელმა სამიტმა სანუკვარი ოცნება ისევ გაურკვეველი ვადით გადასწია. ამან ბესო იმდენად დააბნია, რომ ყველას, ვისაც კი საუბარს ჩამოუხდებდა, გაკვირვებული ეკითხება:

– კაცო, გამაგებინეთ, რანაირად არის მოწყობილი ეს ნატოს კარი, რომ ერთდროულად ღიაა არის და დახურულიც?
– ეტყობა, ძალიან ვინროა, ან ძალიან დაბალი, – ვუხსნი ღიმილით, – და ვერ გეტყვით.

– როგორ კაცო, თავის დროზე იმხელა გერმანია და საფრანგეთი თუ გაეტივინენ, ჩვენ რა ღმერთი გავიწყდა?

– მე სახელმწიფოზე კი არა, კაცზე გეუბნები, ხო გახსოვს, თავის დროზე მიშა როგორ ბულა ხარივით მიიწვედა ნატოს კარის შესამტკიცებლად, მაგრამ ეტყობა, მაღალი რო იყო, თავის შერტყმისა შეეშინდა და გამობრუნდა.

– შერტყმისა? – შეეჭვდა მოხუცი, – მიშასთვის ეგ არაფერია, მას ბევრი რამისთვის შეურტყამს თავი, მაგრამ არასდროს სტკენია და არც ტვინი შეურყევია (ყოველ შემთხვევაში, თავად ასე ჰგონია). ყველამ კარგად ვიცით, მაგან სადაც მოისურვა, ყველგან შეეტეხა, თვით ოდესის გუბერნატორადაც კი და რაღა ნატოს კარში ვერ შეეტეხა? აქ მე გგონი, სხვა რამეშია საქმე.

– მაინც რაში? – დავინტერესდი.
– როგორ თუ რაში, ვერ ატყობ, ჩვენ მართალია, ვერ შევდით ნატოში, მაგრამ, სამაგიეროდ, თავად ნატო შემოვიდა საქართველოში. თვითონ ნატოს გენსეკმა თქვა: ახლა უფრო მეტი ნატოა საქართველოში

და უფრო მეტი საქართველო ნატოში, არ მოისმინე?

– მაგრამ საინტერესოა, კონკრეტულად რამდენი ნატოა საქართველოში და რამდენი საქართველო ნატოში?

– ეგ ალარ უთქვამს, ეტყობა, ამ საიდუმლოს რუსეთს უმაღლედნენ. ხო იცით პუტინის ამბავი, რომ შეიტყოს, უფრო მეტი ნატოა საქართველოში, ვიდრე საქართველო ნატოში, მაშინვე დაგვარტყამს.

– ვერაფერსაც ვერ დაგვარტყამს, ვერ გაიგე, რა განცხადება გააკეთა თინა მინისტრმა: „რუსეთს ყოველთვის ექნება დისკომფორტი და შიში, სანამ მე ვიქნები საქართველოში თავდაცვის მინისტრიო“. ამ განცხადების შემდეგ პუტინი თურმე მაგრად შემინებულა!

– კარგი ერთი, – გადაურბინა ღიმილმა ბესოს უღვაშში, – თინა რის შემშინებელია, კაცო. მაგან, მე გგონი, პუტინი ვერა, მაგრამ ნატო უფრო შეაშინა. იფიქრეს, ამ ქალბატონის განცხადებით რუსეთი ისედაც გაღიზიანებულია და ახლა კიდევ მაპი თუ მივეცით, შეიძლება, მართლ საქართველოს კი არა, აქეთ ჩვენც თავბედი გვანყვევინოსო.

– ამას შენ ამბობ, თორემ აბა ნახე ჩვენი ორპოტირე ნაცები რას აცხადებენ?

– რაო, რა გვინდაო?

– ნატომ მაპი იმიტომ არ მოგცა, რომ ჩვენი უქნარა და უნიათო მთავრობა „რუსთავი-2“-ს თავისუფალი გამოხატვის შეზღუდვით დაემუქრა და ქვეყანაში მედი-აპლურალიზმს სერიოზული საფრთხე შეექმნაო.

– მერე, მაგათ ცრურწამლას უსმენს ვინმე? პირადად მე, მაგათი ნაბოღვარიდან ერთი სიტყვისაც არ მჯერა.

– უსმენენ, როგორ არ უსმენენ, ამფსონები და კუდის ამწეები ამერიკაშიც ბლომადა ჰყავთ და ევროპაშიც.

– ვიცი, ვიცი, ამიტომაც ცდილობენ ამერიკელი ცალკეული სენატორები „საკუთარი ძალიან შეიძლება“ დაცვას და სასამართლო დავის პოლიტიკურ ჭრილში გადატანას. ფაქტობრივად, რაზეა დავა, ვინ ვის უჩივის და რას თხოულობს, ამას საერთოდ გვერდს უვლიან და უკრაინიდან სააკაშვილის მიერ მოწოდებული სცენარის მიხედვით ცდილობენ (უფრო სწორად, ცდილობდნენ) ბარიკადების აგებას და სამთავრობო საეცრაზმისაგან ტელეკომპანიის დაცვას.

– ხომ გამოჩნდა, რომ ეს ყველაფერი მიშნაცების მიერ დადგმული სპექტაკლი იყო და მეტი არაფერი.

– გამოჩნდა რომელია, ყველა დარწმუნდა, რომ „რუსთავი-2“-ის ერთადერთი მფლობელი სააკაშვილია და არა მძებნი ყარმანაშვილები, რომლებიც ერთხელაც არ გამოჩნდნენ სასამართლო პროცესზე. სად გაგონილა კაცს ათეულობით მილიონის ქონებას ართმევდნენ, ის კი ჩირგვებში იყოს დამალული და გენერალურ დირექტორს აყვებდნენ, რომელსაც საერთოდ არაფერს ედავებიან და კაცმა არ იცის კურტუმს რატო აქანავებს...

– ბესო ბატონო, დავუბრუნდეთ ისევ ნატოსა და მაპის ამბავს, თორემ თემიდან საერთოდ ამოვვარდით. როგორ ფიქრობთ, ნატო როდის გადმოგვხდევს წყალობის თვალთ და როდის გამოიმეტებს ჩვენთვის სანუკვარ მაპს?

– ალბათ მაშინ, როცა რუსეთი აგრესიას დაეხსნება და დემოკრატიის შუქურად მოგვევლინება, თუმცა იმ პერიოდისათვის თავად ნატოც უფუნქციოდ დარჩება და „საპენსიო შევებულებაში“ გავა. თავის დროზე ნატო ზომ იმისთვის შეიქმნა, რომ ევროპა საბჭოთა კავშირის (ახლანდელი რუსეთის იმპერია) აგრესიისგან ეხსნა?

ასეთია რეალობა, რომლის დანახვა, თუკი მოვისურვებთ, არავის გაუჭირდება. ტყუილად ფიქრობენ ზოგიერთები ამერიკასა და ევროპაში, რომ მთელი საქართველო ჭურში ზის (სააკაშვილ-გვარამია-გაბაშვილების გარდა) და დასავლელი პარტნიორების ხსნას ელოდება.

ოთარ ხუციშვილი



საძარმეილსა და „გაზპრომს“ შორის შეთანხმება საბოლოო ფაზას უახლოვდება. ურთიერთშეგვდრების ინტენსივობა მოწმობს, რომ მოლაპარაკება დასკვნით ეტაპზეა. ენერგეტიკის სამინისტრო ჯერჯერობით ყოველგვარ ინფორმაციას ასაიდუმლოებს. არაფერი თქმულა 8 დეკემბრის ლუქსემბურგის შეხვედრაზეც.

„გაზპრომის“ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, რუსულ კომპანიის ხელმძღვანელ ალექსეი მილერსა და საქართველოს ვიცე-პრემიერ, ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძეს შორის სამუშაო შეხვედრა ლუქსემბურგში გაიმართა. მხარეებმა საქართველოს ტერიტორიაზე რუსული გაზის ტრანზიტსა და კომერციულ მიწოდებებზე მსჯელობა გააგრძელეს.

კახა კალაძის გათვლით, მომავალი წლისთვის ქართველი ბიზნესმენებისთვის რუსული გაზი ხელმისაწვდომი იქნება, თუკი მათ „გაზპრომთან“ ურთიერთობის სურვილი გაუჩნდებათ. ენერგეტიკის სამინისტროში აცხადებენ, რომ საქართველოში ბუნებრივი აირის მოხმარება იზრდება და ფასი იცვლება, ამიტომ უმჯობესია, რომ ქვეყანამ დივერსიფიკაციაზე იზრუნოს.

„თუ ჩვენ მოვასწრებთ და რუსეთიდან შესაძლებელი გახდება დამატებითი მოცულობის წამოღება მისაღებ ფასში, რომელიც კონკურენტულ გაზზე დაბალია, მაშინ იქნება აზერბაიჯანიდან მოწოდებული ბუნებრივი აირის, ეს ძალიან კარგი იქნება“, — აღნიშნა კალაძემ და დასძინა, რომ ნებისმიერი განვითარებული ქვეყანა ფიქრობს ენერგეტიკული წყაროების დივერსიფიკაციაზე.

არსებული ტრანზიტის მომსახურების ხელშეკრულების გაგრძელებისა და სხვა ტექნიკური ხასიათის საკითხებზე, აგრეთვე, ბუნებრივი აირის დამატებითი მოცულობების მოწოდების შესაძლებლობასა და პირობებზე საქართველოსა და „გაზპრომს“ შორის მოლაპარაკება დეკემბრის ბოლოს უნდა დასრულდეს, ანუ ახალი წლიდან რუსული გაზის იმპორტი შესაძლებელი გახდება.

მთავრობაში ირწმუნებიან, რომ „გაზპრომთან“ არანაირი ხელშეკრულების გაფორმება არ იგეგმება, ეს არის ლიბერალური ბაზარი კომერციული სექტორისთვის. რაც შეეხება, ე.წ. „სოციალურ გაზს“ (შეღებვით დაბალ ფასად), ქვეყანას ხანგრძლივადიანი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული აზერბაიჯანთან.



ახალ წელთან ერთად რუსული გაზის გვიხლოვდება

თან და ამ ურთიერთობას არაფერი ემუქრება.

ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე მილერს ბოლოს მილანში, 27 ოქტომბერს შეხვდა. მანამდე კი, 25 სექტემბერს, მათ შორის შეხვედრა ბრიუსელში გაიმართა. სწორედ ამ დროიდან გახდა ცნობილი საქართველოს გეგმები რუსეთიდან გაზის იმპორტის გაზრდის შესახებ. ბრიუსელის შეხვედრასთან დაკავშირებით კალაძემ მოგვიანებით ასეთი განმარტება გააკეთა:

„ბრიუსელში „გაზპრომის“ წარმომადგენლებთან ორმხრივი შეხვედრა მქონდა. ასეთი შეხვედრა პირველი არ ყოფილა, ჩვენ წლების განმავლობაში კარგი, მეგობრული ურთიერთობები გვაქვს, ამ თვალსაზრისით. ეს იყო სამუშაო ტიპის შეხვედრა, რომელზეც საუბარი გაიმართა მილსადენით ქვეყანაში ტრანზიტის გაზრდაზე. ჩვენთვისაც პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ ეს მიმართულება იყოს დატვირთული და ტრანზიტის იმის გაზრდილი. შეხვედრაზე საუბარი იყო იმის შესახებ, რომ კერძო კომპანიებს მიეცეთ საშუალება, რუსეთიდან ბუნებრივი აირი შემოიტანონ“.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ხელისუფლება ირანული გაზის იმპორტსაც განიხილავს. რამდენიმე კვირის წინათ კახა კალაძემ ირანში ვიზიტიც დააანონსა, რომელიც ნოემბერში უნდა შემდგარიყო, თუმცა ვიზიტი ამ დრომდე არ შემდგარა. როდის გეგმავს ქართული დელეგაცია თეირანში გამგზავრებას, ამ დრომდე უცნობია.

როგორც მოგვიანებით გაირკვა ენერგეტიკის სამინისტრო „გაზპრომიდან“

კომერციული სექტორისთვის ბუნებრივი აირის შესყიდვას ამ ეტაპზე არ გეგმავს, ამის შესახებ ნათქვამია ენერგეტიკის სამინისტროს მიერ ფრაქცია „ქართული ოცნება - რესპუბლიკელების“ თავმჯდომარის მოდგილის თამარ კორძაიასთვის გაგზავნილ წერილში. დეპუტატმა ენერგეტიკის მინისტრს სადეპუტატო შეკითხვებით მიმართა, რომელიც საქართველოს ბუნებრივი აირით მომარაგების, „გაზპრომთან“ მოლაპარაკებებისა და ზოგადად, გაზის ტრანზიტთან დაკავშირებულ საკითხებს ეხებოდა. როგორც უწყების წერილშია აღნიშნული, კომერციული სექტორი დაწესებულებულია და კომერციულ მომხმარებლებს შესაძლებლობა აქვთ, თავად აირჩიონ მომწოდებელი.

საქართველოს გაერთიანებულ ენერგეტიკულ ბალანსში ბუნებრივი აირის წილი დაახლოებით 40%-ს შეადგენს. 2015 წლის განმავლობაში ბუნებრივი აირზე მოთხოვნა 2.4 მილიარდ კუბური მეტრია. ჯამურ მომარაგებაში მოსახლეობის წილი 28%-ია, თბოსადგურების - 27%, ხოლო დანარჩენი 43% კომერციული სექტორის მოხმარებაა. მოთხოვნის უზრუნველყოფას ახდენს აზერბაიჯანის სახელმწიფო კომპანია „სოკარი“ კომერციულ მომხმარებელთან გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულებების ფარგლებში, ხოლო ე.წ. სოციალური სეგმენტის (მოსახლეობა და თბოსადგურები) მოთხოვნის დაკმაყოფილება ხდება საქართველოს მთავრობასა და „სოკარს“ შორის გაფორმებული გრძელვადიანი ხელშეკრულების ფარგლებში.

ე.წ. სოციალური გაზის (2015 წელს 1.35

მლრდ კუბ/მ) ძირითად წყაროს წარმოადგენს შაჰ-დენიზის კონსორციუმთან გაფორმებული გრძელვადიანი ხელშეკრულება (სამხრეთ კავკასიური მილსადენით გატარებული მოცულობის 5% და 500 მილიონი დამატებითი მოცულობის სახით, ჯამში, დაახლოებით, 750 მილიონი კუბ/მ-ის ფარგლებში), აგრეთვე სომხეთის ტრანზიტის შედეგად მიღებული ბუნებრივი აირის მოცულობა 200 მილიონი კუბ/მ-ის ფარგლებში, ხოლო დანარჩენი მოცულობის შევსება უზრუნველყოფილია „სოკართან“ გაფორმებული ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით“, — ნათქვამია წერილში.

მონოდების გეოგრაფიის გათვალისწინებით, საქართველოს გაზომარაგება (დაახლოებით 92%) ხდება აზერბაიჯანიდან ორი მილსადენის საშუალებით, ხოლო დანარჩენი 8% რუსეთიდან ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენით. მოსახლეობისთვის მიწოდებული სოციალური გაზის ფასი დღეისათვის შეადგენს 120 აშშ დოლარს 1000 კუბ/მ-ზე, ხოლო თბოსადგურებისთვის — 143 აშშ დოლარს 1000 კუბ/მ-ზე.

„სხვადასხვა კონტრაქტის ფარგლებში მიღებული გაზის ფასი წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას. ჩვენი ინფორმაციით, კომერციული მომხმარებლებისათვის მიწოდების საშუალო ფასი 1000 კუბ/მ-ზე 260 აშშ დოლარის ფარგლებშია“, — ნათქვამია წერილში.

„სამინისტროს ინფორმაციით, პერიოდულად სომხეთის ტრანზიტის შედეგად მისაღები მოცულობების გარდა, ხდება დამატებითი (კომერციული მიზნით) მოცულობების მიღება რუსეთიდან და სომხეთიდან მცირე მოცულობებით. აზერბაიჯანიდან ხანგრძლივად გაზის მოწოდების შეფერხება ნაკლებად სავარაუდოა, თუმცა ფიზიკურად საქართველოს სხვა წყარო არ გააჩნია მოკლევადიან პერსპექტივაში, გარდა რუსეთისა. შესაძლოა ირანიდანც გაზის მოწოდება, როგორც მაგალითად მცირე მოცულობებით იყო 2006 წელს, თუ რასაკვირველია, შესაბამისი ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომი იქნება“, — აღნიშნავენ ენერგეტიკის სამინისტროში.

რეგიონში ირანი ნავთობის და გაზის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი მომწოდებელი ქვეყანაა და ბუნებრივია, მასთან თანამშრომლობა საქართველოსთვის პერსპექტიულია.

გიგა დანელია

რამდენად წარმატებული იქნება?

სახელმწიფო საპენსიო რეფორმის მოდელი მოამზადა და მის აპრობირებას უახლოეს წანებში აპირებს. საპენსიო რეფორმის კონცეფციის თანახმად, დასაქმებული, დამსაქმებელი და სახელმწიფო საპენსიო ფონდში ყოველთვიურად ორ-ორ პროცენტს შეიტანენ.

საპენსიო რეფორმის სამსახურის უფროსის ოთარ ძიძიკაშვილის განმარტებით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ შემუშავებული საპენსიო რეფორმის კონცეფცია ნებაყოფლობით პრინციპზეა აგებული: სისტემაში მხოლოდ მსურველები განევირიანდებიან და საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ დამატებით ფინანსურ შემოსავალს მიიღებენ. არ გაუქმდება და ისევ იარსებებს დღეს არსებული სოციალური პენსიის მოდელი, რომელიც ყველა პენსიონერზე გავრცელდება.

„თუ დასაქმებული, რომელიც მიიღებს მონაწილეობას და შენატანის სახით განახორციელებს 2 %-იან კონტრიბუციას საპენსიო ფონდში, დამსაქმებელიც და სახელმწიფოც დამატებით განახორციელებენ ორ-ორპროცენტთან შენატანს, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი ყოველთვიური გადარიცხული თანხა საპენსიო ფონდში შეადგენს 6 %-ს. შემდეგ მოხდება ამ თანხის ინვესტირება სხვადასხვა აქტივში და მოგების სახით დაემატება პენსიონერს. ეს არის დაგროვებითი პენსიის პრინციპი, რომელიც დასაქმებულ ადამიანზეა მორგებული და ყველა განვითარებულ ქვეყანაში მოქმედებს, სადაც არის სოლიდარობის პრინციპი, სადაც შენატანებს ახორციელებს დასაქმებული, დამსაქმებელი და სახელმწიფო“, — განმარტავენ ორგანიზატორები.

საპენსიო რეფორმა იწყება

მათივე განმარტებით, სისტემაში ჩართულ მოქალაქეს, სურვილის შემთხვევაში, 2 %-ზე მეტი შენატანის შესაძლებლობაც ექნება, თუმცა დამსაქმებლისა და ბიზნესის შენატანი ისევ 2 % დარჩება. საპენსიო რეფორმის სამსახურში ფიქრობენ, რომ, ჯამში, 6 %-იანი კონტრიბუცია სანაყის ეტაპზე საკმარისი იქნება, თუმცა მომავალში ამ ციფრის გაზრდას არ გამორიცხავენ.

აქვე უნდა ითქვას, რომ „ნებაყოფლობით საფუძველზე“ საპენსიო დანამატის გაკეთების საშუალება საქართველოს მოქალაქეებს დღემდეც ჰქონდათ, თუმცა ამ შემთხვევაში არა სახელმწიფოს, არამედ კერძო სადაზღვევო კომპანიისთვის შეეძლოთ, გადაეხადათ. ეს კომპა-

ნია, თავის მხრივ, ამ თანხების ინვესტირებას ისევე მოახდენდა, როგორც ამას, სავარაუდოდ, სახელმწიფო ფონდი გეგმავს. კერძო საპენსიო დაზღვევა საქართველოში 2001 წლიდან შესთავაზეს კომპანიებმა დასაქმებულებს და პირდაპირ უნდა ითქვას, რომ განსაკუთრებული მოთხოვნა ამ პროდუქტზე არ დაფიქსირებულა.

საქართველოში არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევის პროდუქტს მოსახლეობას მხოლოდ რამდენიმე სადაზღვევო კომპანია სთავაზობს. 2013 წლის მონაცემებით, საქართველოში მოქმედი 14 სადაზღვევო კომპანიიდან (საქართველოს ეროვნული ბანკი) საპენსიო დაზღვევა ჰქონდა კომპანიებს „ჯიპიაი

ჰოლდინგს“ და „ალდაგი ბისიას“ (2013 წლამდე კერძო საპენსიო დაზღვევას ახორციელებდა აგრეთვე სადაზღვევო კომპანია „იმედი ელ ინტერნეიშნალი“). ოფიციალურად, საქართველოს კანონმდებლობით, ქალებისთვის საპენსიო ასაკი განსაზღვრულია 60 წლის ასაკიდან, მამაკაცებისთვის კი 65 წლიდან. მომხმარებელს არა აქვს უფლება ამ ასაკზე უფრო ადრე დაინშნოს პენსია, თუმცა აქვთ შესაძლებლობა პენსიის დაწინაურების ვადა გადასწიოს, მაგალითად, პენსია მიიღოს არა 65 წლიდან, არამედ 68 წლის ასაკიდან. 2012 წლის მდგომარეობით, საქართველოში კერძო საპენსიო დაზღვევის სისტემით დაზღვეულთა რაოდენობა შეადგენდა 17 935 პირს (საქართველოს ეროვნული ბანკი, 2012). სტემის მონაწილეები არიან როგორც კერძო პირები, ასევე ორგანიზაციის თანამშრომლები.

ცხადია, ეს ციფრი საკმაოდ მოკრძალებულია და, ძირითადად, იმას მოწმობს, რომ საქართველოში საპენსიო დაგროვების კულტურა ჯერჯერობით არ არსებობს. ამის ერთ-ერთ მიზეზად ექსპერტები გრძელვადიანი ნდობის არარსებობას ასახელებენ. ერთ-ერთი მიზეზი თავად დასაქმებულთა საკმაოდ დაბალი შემოსავლებიცაა. შედარებით მაღალი შემოსავლის მქონენი კი საპენსიო დანაშოგების გაკეთებას დანაშოგის უძრავ ქონებაში ჩადებას და სიბერის ასე უზრუნველყოფას ამჯობინებენ.

შესაბამისად, რამდენად წარმატებული იქნება ქართული საპენსიო რეფორმა, ამაზე დღეს პროგნოზის გაკეთება საკმაოდ რთული გახლავთ.

ნინო ეზვანიძე

ვის ეკუთვნის სწობილი აფორიზმები?..



**„თუ პური
არა აქვთ,
ჭამონ
ნამცხვარი“**

260 წლის წინათ, 1755 წლის 2 ნოემბერს ერთ მრავალშვილიან ოჯახში მეთხუთმეტე ბავშვი დაიბადა. გოგონას დაარქვეს მარია ანტონია იოანა ჰაბსბურგ-ლოტარინგელი.

სხვათა შორის, ის ჩვენთვის უფრო ცნობილია, როგორც მარია-ანტუანეტა. მისი ბედი მიიწინევა იმის კლასიკურ ილუსტრაციად, თუ როგორ შეიძლება აგო პასუხი შენს გაუფრთხილებელ სიტყვებზე.

ლეგენდა გვუბნება, რომ მარია, როდესაც უკვე საფრანგეთის დედოფალი იყო, დაინტერესდა, თუ რა უნდოდა მუდმივად მემამოხე პარიზის ბრბოს და როდესაც მიიღო პასუხი: „ამ ხალხს არ აქვს პური“, განაცხადა: „თუ პური არა აქვთ, ჭამონ ნამცხვარი“. შემდეგი ყველასთვის ცნობილია — საფრანგეთის დიდი რევოლუცია და მარია-ანტუანეტას თავი, რომელიც გილიოტინაზე მოკვეთეს.

არადა, ეს სიტყვები საფრანგეთის უკანასკნელ დედოფალს არ წარმოუთქვამს არასოდეს. ისინი მას მიანერეს უკანარიცხვით. და ეს ერთადერთი შემთხვევა როდია. ჩვენ ყელაზე ცნობილი მაგალითების ნაკრები გავაკეთეთ.

ორიგინალში იყო არა ნამცხვარი, არამედ ფუნთუშა, რაც, სხვათა შორის, არ ცვლის ფრაზის დამამცირებელ ხასიათს. თუმცა დედოფალი აქ არაფერ შუაშია. მისი ავტორია ფილოსოფოსი ჟან-ჟან რუსო. აი ფრაგმენტი მისი ნაშრომიდან „ალ-სარება“: „როგორც იქნა, გამახსენდა, თუ როგორი გამოსავალი მოიფიქრა ერთმა პრინცესამ. როდესაც მას მოახსენეს, რომ გლეხებს არ გააჩნიათ პური, მან უპასუხა: „ჭამონ ფუნთუშა“. წიგნის დაწერის მომენტისათვის მარია-ანტუანეტა ჯერ ისევ ავსტრიაში ცხოვრობდა, და რიგითმა ფრანგებმა მის შესახებ არაფერი იცოდნენ. მაგრამ 20 წლის შემდეგ მათ ძალიან მოუწონდათ, რომ ეს ქედმაღლური სისულელე წარმოეთქვა მათთვის საზიზღარ დედოფალს. ის კი, თითქოს განგებო, ერთი მხრივ გაიტაცა რუსოს იდეებმა, მეორე მხრივ — მან თავისი ექსტრაგავანტურობით ხაზინა გაჩანაგებამდე მიიყვანა და მიიღო ზედმეტი სახელი — მაღამ დეფიციტი. ფრაზა ისე შეესაბამებოდა დედოფალს, რომ მის სახელს უკვე სამუდამოდ მიეწება.

„მეჩალები აღაშენებლის სულის ინჟინერები არიან“

ამ ტყუად ფრაზას ჩვეულებრივად იოსებ სტალინს მიანერენ. გამოიყურება, როგორც სიმართლე — სტალინის სიტყვებსა და წერილებში ეს გამოთქმა ხშირად გვხვდება. მაგრამ ფიზიკულტურელების საუკეთესო მეგობარი, პატიოსანი კაცი ავტორობაზე პრეტენზიას არ აცხადებდა. და თავდაპირველად, როდესაც აფორიზმს იყენებდა, ყოველთვის ასახელებდა ჭეშმარიტ ავტორს: „როგორც მოსწრებულად თქვა ამხანაგმა ოლეშამ...“ თავად იური კარლოს ძე ოლეშამ, „სამი ბლენდის“




ავტორმა, წარმოთქვა ეს სიტყვები საბჭოთა მწერლების სტალინთან შეხვედრაზე 1932 წლის 26 ოქტომბერს. სხვათა შორის, არის ვერსია, თუ რატომ მოეწონა სტალინს ეს აფორიზმი. შესაძლებელია, მას, ყოფილ სემინარიელს, გაახსენდა უფრო ადრინდელი პროტოტიპი. კერძოდ კი წმინდა გრიგორი ღვთისმეტყველის სიტყვები ათანასეზე, ალექსანდრიის არქიეპისკოპოსზე, თქმული ჯერ კიდევ IV საუკუნეში: „ადამიანის სულების დიდი მშენებელი“.

„ჩაღიზია — ოპიუმი ხალხისთვის“




ყველაზე ხშირად გვახსენდება რომანი „12 სკამი“, კერძოდ კი ოსტაპ ბენდერის დიალოგი მამა თევდორესთან: „რა ღირს ოპიუმი ხალხისთვის?“ რატომღაც მიაჩნიათ, რომ დიდი კომუნისტორი ახდენს ლენინის ციტირებას. სინამდვილეში კი ეს აფორიზმი პირველად გამოიყენა კარლ მარქსმა 1843 წელს თავისი ნაშრომის „გელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის“ შესავალში. სხვა საქმეა, რომ ბენდერი არასწორ ციტირებას ახდენს. მარქსი ამბობს: „რელიგია, ეს ხალხისათვის ოპიუმი“. მაგრამ ჭეშმარიტი ავტორი, ალბათ, ჩარლზ კინგსლია, თავგამოდებული სოციალისტი (თანაც ანგლიკანური მღვდელი და თავად დედოფალ ვიქტორიას მოძღვარი). ეს ასე იყო: „ჩვენ ვიყენებთ ბიბლიას უბრალოდ როგორც ოპიუმის დოზას, რომელიც ამშვიდებს სასაბუნებო ცხოველს, — რათა დაიცვან წესრიგი და რიბებს შორის“. მარქსი იცნობდა კინგსლის და, ალბათ, უბრალოდ გადმოიტანა აზრი.

„პატრიოტიზმი არაა ღირსი შენასწავლი თავისი სახლი“



რუსეთში ყველა დარწმუნებულია, რომ აფორიზმი ლევ ტოლსტოის ეკუთვნის. ასახელებენ წყაროსაც, კი — წიგნს „კითხვის წყარო“. იქ მართლაც ერთ პატარა თავში „სამშობლო“ არის ეს ფრაზა. მაგრამ მის ქვემოთ არის ავტორის სახელი — ჯონსონი. გაშიფვრით ლევ ტოლსტოის თავი არ შეუწუხებია. სამაგიეროდ დაუშაბა თავისი მოსაზრება: „პატრიოტიზმი... რაღაც უცხო რამაა



მმართველობისთვის, როგორც იარაღი თავიანთი ხელისუფლების მოყვარული და ანგარებითი მიზნების მიღწევისათვის, ხოლო სამართავეებისთვის — ადამიანურ ღირსებაზე, გონებაზე, ნამუსზე ხელის აღება...“ სინამდვილეში ჭეშმარიტ ავტორს, ლიტერატორ სამუელ ჯონსონს, რომელმაც ეს ფრაზა 1775 წლის 7 აპრილს წარმოთქვა, სხვა მსჯელობა



ჰქონდა: „პატრიოტი ღირსია ადგილისა პარლამენტში. არავინ სხვა არ დაიცავს ჩვენ უფლებებს, არავინ სხვა არ დაიმსახურებს ჩვენ ნდობას“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყველაფერი არაა დაკარგული ყველაზე გამოსწორებელი არამზადისთვისაც კი, თუ მასში ცოცხლობს პატრიოტიზმის გრძნობა, რომელსაც, თუ დაემორჩილება, შეუძლია კეთილი საქმე გააკეთოს.

„სტალინმა მიიღო კავიანი რუსეთი და ღაბოვა ბრძოლაში ბოშებით“

ჩერჩილის ამ ფრაზას ხშირად მიმართავენ, როდესაც საკითხი შეეხება სტალინის ადგილს საბჭოთა კავშირის ისტორიაში. აიო, როგორი იყო გენერალისიმუსი — თავად სერ უინსტონმა, გამოუსწორებელმა ანტისაბჭოელმა და სსრ კავშირის მტერმა, ალიარა ბელადის დიდი როლი. წყაროსაც კი ასახელებენ — თითქოს ჩერჩილმა ეს წარმოთქვა 1959 წლის 21 დეკემბერს თემთა პალატაში მოკლე სიტყვაში, რომელიც სტალინის 80 წლისთავს მიეძღვნა. მაგრამ არანაირი სხდომა იმ დღეს არ ყოფილა ინგლისის პარლამენტში. თავად ფრაზა კი ეკუთვნის ყოფილ ინგლისელ ტროცკისტს ისააკ დოიჩერს. პირველად იგი გამოქვეყნდა სტალინის ნეკროლოგის ფარგლებში 1953 წლის 6 მარტს გაზეთში „მანჩესტერ გარდიანი“. და, სხვათა შორის, იქ საკითხი შეეხებოდა არა ბირთვულ ბომბს, არამედ ატომურ რეაქტორებს, რაც ხაზგასმით აღნიშნავდა გარდაცვლილის მშვიდობისმყოფელობას.



„ჩვენ სხვა გზით წავალთ“



თითქოსდა, ორი აზრი არ უნდა იყოს: ლენინი და მხოლოდ ლენინი. ყველას უნახავს ნახატი ამ სახელწოდებით. ყველას ახსოვს, რასთან დაკავშირებით თქვა ეს ახალგაზრდა ვალოდია ულიანოვმა. ახლახან ჩამოახრჩვეს მისი ძმა ალექსანდრე, რომელიც მეფეზე თავდასხმას ამზადებდა. და აი, უმცროსი ულიანოვი, 1887 წელს, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო ლენინი, გმობს ინდივიდუალურ ტერორს და ფიქრობს სხვა გზაზე — რევოლუციამდე.

სინამდვილეში ვალოდიას დას, მარია ილიას ასულს მოჰყავს ძმის სხვა სიტყვები: „არა, ამ გზით არაა საჭირო სიარული“. ასე რომ, დახვეწილი ფრაზის ავტორია ვლადიმერ მაიაკოვსკი, რომელმაც იგი გამოიყენა თავის პოემაში „ვლადიმერ ილიას ძე ლენინი“.

კონსტანტინე კუდრიაშოვი.

АРГУМЕНТЫ
И ФАКТЫ



© სოფელი

მესოპოტამია 14000 ტონაზე მეტი სიბრუსი გაიშალა...

მშრდნის მოჭირნახულების შემდეგ საქართველოში, როგორც წესი, უკვე წარინჯისფერი რთვლის შედეგებს ითვლიან სოფელს.

ციტრუსის საექსპორტო პოტენციალზე ქვეყანაში ყოველთვის საკმაოდ დიდი წარმოდგენა ჰქონდათ, თუმცა, რეალურად, დღევანდელი მდგომარეობით, ციტრუსის წილი სოფლის მეურნეობის ექსპორტის მთელ რაოდენობაში 3 პროცენტზე ნაკლებია — ეს იმ პირობებში, როცა სახელმწიფო ამ დარგის წახალისებას სპეციალური სუბსიდირების პროგრამით ცდილობს, კერძოდ: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო და სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო სამრეწველო გადაამუშავებისთვის განკუთვნილი მანდარინის რეალიზაციის ხელშეწყობა ღონისძიებას ახორციელებს. პროექტის ფარგლებში, კომპანიები, რომლებიც 1 კგ სამრეწველო გადაამუშავებისთვის განკუთვნილ მანდარინს არანაკლებ 0.20 ლარად შეისყიდებიან, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოსგან 1 კგ მანდარინზე 0.10 ლარის ოდენობის სუბსიდიას მიიღებენ. საექსპორ-

ტო ბაზრებზე კონკურენტუნარიანი და მაღალხარისხიანი ციტრუსის მიწოდების უზრუნველსაყოფად, წელს სეზონზე აჭარასა და გურიაში მანდარინის ჩაბარება შესაძლებელია 40-მდე დამხარისხებულ (შემფუთავ) პაველიონში. 2015 წლის 1 ნოემბრიდან ქალაქ ბათუმში შექმნილია ციტრუსის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის საკოორდინაციო შტაბი.

ამ სუბსიდირების პროგრამის წყალობით, დღეს სამრეწველო მანდარინის გადამამუშავების შედეგად მიღებული შემოსავალი 574 330 ლარს შეადგენს (აქედან სახელმწიფო სუბსიდიის თანხა 286 880 ლარია, ანუ თითქმის ნახევარი).

ამჟამად მანდარინის მიღება-გადამამუშავებას სამი ქარხანა აწარმოებს: ქობულეთის მუნიციპალიტეტში — კომპანია „Georgian Industrial Asset Management Group“ და შპს „TCF Georgia“, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში — კომპანია „GEO-Flowers“.

რაც შეეხება სტანდარტულ მანდარინს, სტანდარტული მანდარინის ექსპორტი ძირითადად ხორციელდება შემდეგ ქვეყნებში: რუსეთი — 11 305 ტ. (80.78 %),

უკრაინა — 1 586 ტ. (11.33 %), სომხეთი — 489 ტ. (3.49 %), აზერბაიჯანი — 163 ტ. (1.16 %), ყაზახეთი — 256 ტ. (1.83 %), ბელარუსი — 161 ტ. (1.15 %), სხვა ქვეყნები — 34 ტ. (0.24 %).

დღეის მონაცემებით, ქვეყნიდან 2015 წელს ექსპორტირებულია 13 995 ტონაზე მეტი სტანდარტული მანდარინი, ხოლო გადამამუშავებულია 2 869 ტონამდე ციტრუსი. შესაბამისად, სტატისტიკა მოწმობს, რომ ციტრუსის საექსპორტო ბაზრად, ძირითადად, რუსეთი რჩება. განსხვავებით ღვინისგან, რომელმაც 2006 წლის რუსული ემბარგოს შემდეგ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია საექსპორტო ბაზრის გაფართოების თვალსაზრისით და დღეს რუსეთი ბაზრის დიდ, მაგრამ არა 80-პროცენტთან, ნიშას ფლობს, ქართული ციტრუსი ვერ აღმოჩნდა კონკურენტისა საერთაშორისო ბაზარზე.

სწორედ ამიტომ, ექსპერტთა ნაწილი გამოსავლად ამ რეგიონებში მანდარინის სოფლის მეურნეობის სხვა სუბტროპიკული სახეობებით ჩანაცვლებას და არა ამ პროდუქტის სუბსიდირებას მოითხოვს. თუმცა ეს, ცხადია, ეტაპობრივი პროცესია. მანამდე კი წარინჯისფერი რთვლის შედეგებს საქართველოში უკვე მომავალი წლის თებერვლისთვის დაითვლიან.

ნინო ვეზინიძე

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო სამკონსტრუქციო დანახარებების სახელმწიფო საავტომობილო გზების დაპროექტების განხორციელების

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2015 წლის 26 ნოემბრის №1-1/506 ბრძანების შესაბამისად

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ხორციელდება E-60 ჩქაროსნული საავტომობილო გზის სამტრედია-გრიგოლეთის მონაკვეთის კმ42+000-კმ51+570 (ლოტი IV) პროექტი. პროექტის განმახორციელებელი უწყების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, სამტრედია-გრიგოლეთის მონაკვეთის კმ42+000-კმ51+570 პროექტის ფარგლებში, დამუშავდა და ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) მიერ დამტკიცდა მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმა.

E-60 ჩქაროსნული საავტომობილო გზის სამტრედია-გრიგოლეთის მონაკვეთის კმ42+000-კმ51+570 (ლოტი IV) პროექტის განხორციელებისას წარმოიშვა პროექტის შემოქმედების ქვეშ მოქცეული, კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოს მიერ გამოსყიდვის აუცილებლობა. მესაკუთრეებს წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით (ლოტი IV) განსაზღვრული საკომპენსაციო თანხის სანაცვლოდ. ამავდროულად შეტყობინებით მესაკუთრეები ინფორმირებულ იქნენ, რომ მათი უარის შემთხვევაში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და პროექტის ფარგლებში მოქცეულ მათ საკუთრებაზე/საკუთრების ნაწილზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით მიმართავდა კანონმდებლობით დადგენილ ღონისძიებებს. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ უძრავი ქონების განსახლების შესახებ შეთანხმება მიღწეულ იქნა მესაკუთრეების უმეტეს ნაწილთან, ხოლო შემთხვევითი დამატებითი საჭიროებისათვის ჩამორთმევის საკითხი განხილულ იქნა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების მიზნით საკითხის განხილველი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2013 წლის 17 ივნისის №1-1/164 ბრძანებით შექმნილი ექსპროპრიაციის საკითხების განხილველ კომისიის მიერ.

2015 წლის 26 ნოემბერს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის №1-1/506 ბრძანება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“, რომლითაც ექსპროპრიაციის უფლების მისანიჭებელ სუბიექტად დადგინდა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე 2015 წლის 11 დეკემბერს).

E-60 ჩქაროსნული საავტომობილო გზის სამტრედია-გრიგოლეთის მონაკვეთის კმ42+000-კმ51+570 (ლოტი IV) პროექტით განსაზღვრული სამუშაოებისათვის საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს ესაჭიროება შემდეგი უძრავი ქონება:

1. უძრავი ქონების საკადასტრო კოდი - №27.15.50.219. საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთის 2131 კვ.მ ნაწილი - მესაკუთრე **ბესიკ ჩხარტიშვილი** - (3/6 61002010762);
2. უძრავი ქონების საკადასტრო კოდი - №27.15.50.156. საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთის 9263 კვ.მ ნაწილი - მესაკუთრე **ალექსანდრე ევგენიძე** - (3/6 26001004890);
3. უძრავი ქონების საკადასტრო კოდი - №27.15.50.158. საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთის 4131 კვ.მ ნაწილი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა - მესაკუთრე **ალექსანდრე ევგენიძე** - (3/6 26001004890).

4. უძრავი ქონების საკადასტრო კოდი - №27.15.47.057. საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთის 1928 კვ.მ ნაწილი - მესაკუთრე **ელგუჯა ზოიძე** - (3/6 26001026773);

5. უძრავი ქონების საკადასტრო კოდი - №27.15.47.063. საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთი 2101 კვ.მ და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა - მესაკუთრე **მამია დოლიძე** - (3/6 26001029840);

6. უძრავი ქონების საკადასტრო კოდი - №27.15.47.064. საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთი 100 კვ.მ - მესაკუთრე **მამია დოლიძე** - (3/6 26001029840);

7. უძრავი ქონების საკადასტრო კოდი - №27.15.47.031. საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთის 232 კვ.მ. ნაწილი - მესაკუთრე **ირაკლი დოლიძე** - (3/6 26001027006);

8. თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საკადასტრო კოდი - №27.15.47.120. საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთი 700 კვ.მ და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა - თანამესაკუთრეები: **გული ქანტურია** - (3/6 26001014359); **თამარ ქანტურია** - (3/6 26001025154); **მარინე ქანტურია** - (3/6 26001025155);

9. თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საკადასტრო კოდი - №27.15.46.134. საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთის 442 კვ.მ ნაწილი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა - თანამესაკუთრეები: **ბექა დვალისშვილი** - (3/6 26001034597); **დარია დვალისშვილი** - (3/6 26001018713);

10. თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საკადასტრო კოდი - №27.15.44.006. საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთის 1424 კვ.მ ნაწილი - თანამესაკუთრეები: **ვაჟა ტიკარაძე** - (3/6 26001008565); **ვაჟა ტიკარაძე** - (3/6 26001034795); **ლილი კვაჭაძე** - (3/6 26001015334); **მაია ტიკარაძე** - (3/6 26001025854); **მალხაზ ტიკარაძე** - (3/6: 26001006641);

11. თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საკადასტრო კოდი - №27.15.44.095. საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთის 1222 კვ.მ ნაწილი - თანამესაკუთრეები: **როზა თოიძე** - (3/6 26001005550); **პაატა ვასაძე**;

12. უძრავი ქონების საკადასტრო კოდი - №27.15.45.026. საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთის 1640 კვ.მ ნაწილი - მესაკუთრე **თემურ გურგენიძე** - (3/6 61001040581);

13. უძრავი ქონების საკადასტრო კოდი - №27.15.45.248. საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთის 2178 კვ.მ ნაწილი - მესაკუთრე **დავით შარიქაძე** - (3/6 62003014685);

14. უძრავი ქონების საკადასტრო კოდი - №27.15.45.249. საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთის 586 კვ.მ ნაწილი - მესაკუთრე **დავით შარიქაძე** - (3/6 62003014685);

15. თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საკადასტრო კოდი - №27.14.45.173. საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთის 2076 კვ.მ ნაწილი - თანამესაკუთრეები: **ნაზი მჭავია** - (3/6 26001033040); **ურა მჭავია** - (3/6 26001025870); **შალვა მჭავია** - (3/6 26001012255); **სვინა მჭავია** - (3/6 61003011122).

პროექტისათვის საჭირო მიწის ნაკვეთებზე ექსპროპრიაციის უფლების მოსაპოვებლად საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი უახლოეს ხანებში მიმართავს სასამართლოს.

უძრავი ქონების მესაკუთრეებს დამატებით ეცნობებათ სასამართლოში განცხადების შეტანისა და სასამართლო განხილვის თარიღი.

© დანახარები მატულობს!

ყალბი ფულის დაზოგვისა და გასაღების

ფაქტზე ორი მოქალაქე დააკავეს

ჩატარებულ მოპოვებით-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებებით დადგინდა, რომ ბრალდებულები – ქეთევან ტილაშვილი და ურა გიორგოზიანი წინასწარ შეთანხმებით, სისტემატიურად ამზადებდნენ და თბილისში მდებარე სხვადასხვა საფაქრო ობიექტებში ასაღებდნენ ყალბ 50-ლარიან კუპიურებს. დაკავებულთა საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ამოღებულია სხვადასხვა ნივთები და კომპიუტერული ტექნიკა, რომელთა საშუალებითაც ხდებოდა ყალბი კუპიურების დამზადება. ჩადენილი დანაშაული ითვალისწინებს 7-დან 10 წლამდე პატიმრობას.

ქართველი კაპიტანის მეთაურობით მსურავი გემი

2,4 ტონა კოკაინი აღმოაჩინეს

საშენიანობაში საფრანგეთში, ლილეს პორტში ფრანგმა და ბრიტანელმა სამართალდამაცემმა ერთობლივად ჩაატარეს. სპეცოპერაციის დროს დააკავეს ქართველი კაპიტანი ბადრი ბერიძე. ის ქალაქ ბულონში იმყოფება. ეკიპაჟის 12-ზე ნევროს სასამართლოს წინაშე წარდგება. ცნობილია, რომ ეკიპაჟის წევრებს შორის კაპიტანის გარდა სხვა ქართველებიც არიან. 50 მილიონი ევროს ღირებულების ნარკოტიკი მოლდოვის დროშით მცურავ გემს კოლუმბიიდან გადამსვლი გადამაქონდა.

გამოძიების ცნობით, 9-საათიანი ძებნის შემდეგ, პოლიციამ კოკაინი ენდოსკოპიური კამერის დახმარებით იპოვა. დაკვირვების დროს აღმოაჩინეს ადგილი, რომელიც ნომალდის რუკაზე დატანილი არ იყო, გაჭრეს კედელი და აღმოაჩინეს რკინის კონსტრუქცია, რომელშიც კოკაინი იყო მოთავსებული. ბადრი ბერიძის ოჯახმა საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დახმარებისათვის მიმართა. დაკავებულის ახლობლები აცხადებენ, რომ ბადრი ბერიძე ნომალდზე ორი თვის წინათ მოხვდა. თურქული კომპანია დაუკავშირდა ბადრი ბერიძეს და სთხოვა, ერთი პუნქტიდან მეორეში ჩამოეყვანა გემი. ოჯახი ამბობს, რომ ბერიძემ არაფერი იცოდა და კაპიტანს არ აქვს უფლება, გემის მებატრონის ტვირთი გასწავს.

საფრანგეთის გემზე დაკავებულ ქართველ მფლავურებს მათზე ინფორმაციის გაცემაზე უარი თქვა, – განუცხადეს მედიანოუსს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში. „ოფიციალური ინფორმაცია დაკავებულების შესახებ არ გვაქვს. საფრანგეთში საქართველოს საკონსულომ მიმართა საფრანგეთის შსს-ს, თუმცა როგორც იქ უთხრეს, თვითონ დაკავებულებს არ სურთ, მათი ვინაობის შესახებ ინფორმაციის გაცემა“, – აცხადებენ საქართველოს საგარეო უწყებაში.

სასამართლოში გიგა ფარტენაძის

სამძებრო სამი პირი დაინაშავეს სსრ

ძუთიანის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და მსჯავრდებულ გიგა ფარტენაძის ჯანმრთელობის განზრახ მიმე დაზიანების ფაქტზე, რამაც მისი სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, ბრალდებულები ლევან მოისწრაფიშვილი, შოთა შანიძე და გიორგი სენიაშვილი დაინაშავეს სსრ. მოსამართლემ საჯელის სახედ და ზომად ლევან მოისწრაფიშვილს და შოთა შანიძეს 11-11 წლით, ხოლო გიორგი სენიაშვილს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, – იტყობინება პროკურატურა.

გამოძიებით დადგინდა, რომ 2014 წლის 4 მარტს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №14 დაწესებულებაში, მსჯავრდებულებს ლევან მოისწრაფიშვილს, შოთა შანიძეს, გიორგი სენიაშვილსა და გიგა ფარტენაძეს შორის სიტყვიერი შელაპარაკება ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. შოთა შანიძემ, გიორგი სენიაშვილმა და ლევან მოისწრაფიშვილმა, გიგა ფარტენაძე იატაკზე წააქციეს. მიუხედავად იმისა, რომ გიგა ფარტენაძემ გონება დაკარგა, აღნიშნული პირები აგრძელებდნენ მის ცემას გულმკერდის, კისრისა და სახის არეში და ბეტონის იატაკზე არტყმევინებდნენ თავს. გიგა ფარტენაძე №14 დაწესებულების სამედიცინო ნაწილში გადაიყვანეს, სადაც გაწეული დახმარების მიუხედავად, გონზე მოუხვედრად გარდაიცვალა.

ლევან მოისწრაფიშვილი, შოთა შანიძე და გიორგი სენიაშვილი სისხლის სამართლის პასუხისგებაში 2014 წლის 26 მარტს მიეცნენ. მათ ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117 - ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, მეექვსე ნაწილით, მეშვიდე ნაწილის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით და მერვე ნაწილით წარედგინათ.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით, ლევან მოისწრაფიშვილს 11 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა, შოთა შანიძეს ნაწილობრივ დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და განაჩენა ერთობლიობით, საბოლოოდ განესაზღვრა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო გიორგი სენიაშვილი ასევე დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – ჯარიმა 3 000 ლარი და განაჩენა ერთობლიობით, საბოლოოდ განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 3 000 ლარის ოდენობით.

გურჯაანში სამი პირი სასამართლო

ტაძარი გაქურდეს

რომლოც ეკლესიაში ამბობენ, საგარეუდოდ, ბოროტმოქმედებმა კარი გატყვეს და ერთი შესაძირი ყუთი წაიღეს, მეორე ყუთიდან კი, თანაა ამოღებული. როგორც მედიანოუსს შსს-ში განუცხადეს, ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ქურდობას გულისხმობს.

ქუთაისში PSP-ს ავთიაში გაპარსეს

ძუთიანში, ბუხაიდის ქუჩაზე ყინულის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე „გე-ეს-პე“-ს ავთიაში გაპარცეს. შემთხვევა ორშაბათ გვიან საღამოს მოხდა. თვითმხილველების ინფორმაციით, ავთიაში წიღებანები შეიჭრნენ. ამ დროს ადგილზე ავთიაქის თანამშრომლები და მომხმარებლები იმყოფებოდნენ. წინასწარი ინფორმაციით, წაღებულია 700 ლარი. მომხმარებელთა დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება 178-ე – ძარცვის მუხლით.

გადაგზავნილი, გეგმიური

© სტუმარი

ოქტავიან მორარიუ: ჩვენ ნიჟარაძეს გენდობით

საძაბრთმელოში სტუმრად მყოფმა რაგბი ევროპის რუმინელმა პრეზიდენტმა ოქტავიან მორარიუმ იმ მიზეზებზე ისაუბრა, რის გამოც თბილისის ესტუმრა და, რაღა თქმა უნდა, გვერდი ვერ აუარა საქართველოს რაგბის კავშირის გადადებული საპრეზიდენტო არჩევნებს.

რაგბი ევროპის პრეზიდენტმა ქართული რაგბის სიყვარულზე და მის პროგრესზე ბევრი ისაუბრა და ხაზგასმით აღნიშნა მის წინსვლაში სრკ-ს ამჟამინდელი პრეზიდენტის გიორგი ნიჟარაძის წვლილი. მისი ვიზიტის მიზეზი ნიჟარაძის მხარდაჭერა არ ყო-



ფილა, მაგრამ შექმნილ ვითარებაში არაერთხელ დააფიქსირა, რომ რაგბი ევროპა და მსოფლიო რაგბი კონკრეტულად გიორგი ნიჟარაძეს ენდობიან და მომავალში საქართველოში რაგბის განვითარება პირადად მისდამი ამ ნდობას დაუკავშირა.

მორარიუ რაგბი ევროპის პრეზიდენტი და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრია, საქართველოში კი ის მსოფლიო რაგბის სახელმწიფო ჩამოყალიბების

ოქტავიან მორარიუ: „მოხარული ვარ საქართველოში ვიზიტით და ეს ჩემთვის უდიდესი პატივია. აქ ჩამოსვლა ჩემში ყოველთვის დიდ ემოციებს იწვევს. ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ თბილისში პირველად 1982 წელს მოთამაშის რანგში ვიყავი და საქართველოსადმი ჩემი სიყვარულიც აქედან იღებს სათავეს. მას შემდეგ აქ მინიმუმ 15-ჯერ მაინც ვიყავი და თუ ვინმე უცხოელმა იცის ქართული რაგბი, ერთ-ერთი პირველი სწორედ მე ვარ.“

საქართველოს რამდენიმე საკითხის გასარკვევად ვეწვიე. პირველი ესაა რაგბი ევროპის კონგრესი, რომელიც თბილისში 2016 წლის ივნისში უნდა გაიმართოს. ეს კონგრესი უმნიშვნელოვანესია მთელი ევროპისთვის და სწორედ აქ ჩამოყალიბდება და კენჭი ეყრება რიგ კანონებს, რომელმაც მსოფლიო რაგბისთან უნდა დაგვაახლოვოს. საქართველო რაგბი ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი წევრია და არა მხოლოდ ნაკრები გუნდების წარმატების, არამედ ძლიერი მენეჯმენტის გამო.

საუბარია იმ პიროვნებათა ჯგუფზე, რომელიც გადაწყვეტილებებს იღებს და კონგრესის თბილისში ჩატარება სწორედ მათი დამსახურებაა. ქართული რაგბი მოედანს გარეთაც წარმატებულია და ესაა უმთავრესი. აქ უმნიშვნელოვანესია გიორგი ნიჟარაძის წვლილი, რომელიც დაუღალავად იბრძვის მოედანს მიღმა წარმატებებისთვის. ზემოთ ახალი კანონები ვახსენეთ, რომლებიც შეეხება გამჭვირვალე მმართველობას, ანტიდოპინგურ და ანტიკორუფციულ საკმინარესებს და სხვა მიმართულებებს, რომლებმაც მსოფლიო რაგბისთან უნდა დაგვაახლოვოს. ეს იქნება ახალი, ეფექტური ინსტრუ-

მენტი ჩვენს ორგანიზაციაში და მის ჩამოყალიბებაში გიორგის წვლილი უდიდესია.

ქართულ რაგბის სჭირდება რაგბი ევროპა და რაგბი ევროპას ასევე სჭირდება ქართული რაგბი, რაგბი კი ადამიანებისგან შედგება და ამ შემთხვევაში რაგბი ევროპას სჭირდება გიორგი ნიჟარაძე. ქართული და რუმინული რაგბი ერთად მიდის მსოფლიო რაგბისკენ და ახალი კანონებით იმას მივალწევთ, რომ ჩვენ ვიჯდებით მსოფლიო რაგბის მაგიდასთან. საქართველოს და რუმინეთს ექნებათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ მსოფლიო რაგბიში გადაწყვეტილებების მიღებაში და ეს უმნიშვნელოვანესი მიღწევაა.

აქ უკვე პირადი კონტაქტები უდიდეს მნიშვნელობას იძენს და ის ფაქტი, რომ ქართულ რაგბის გიორგი ნიჟარაძე წარმოადგენს, ასევე უმნიშვნელოვანესია. ხალხი მას ენდობა, ენდობა როგორც მის სიტყვას, ასევე მოქმედებას, ნდობაზე კი ბევრი რამაა დამოკიდებული. საქართველომ და რუმინეთმა დიდ რაგბიში უნდა შეაბიჯონ, ისეთში, როგორიც 6 ერი, პირველი დონის გუნდებთან თამაშია და რთული საკმეები სწორედ ახლა იწყება. ყველაზე რთული მიღწეულის შენარჩუნებაა და ამისათვის ქართულ რაგბის სჭირდება ნიჟარაძე და ერთიანობა. დიახ, ჩემთვის ერთიანობის და წინსვლის გარანტი სწორედ ნიჟარაძეა.

საქართველოში ვიზიტის მეორე მიზეზი 20-წლამდელთა მსოფლიო თასია, რომელსაც 2017 წელს თქვენმა ქვეყანამ უნდა უმასპინძლოს. ამ მიზნით იანვარში თბილისში საკოორდინაციო შეხვედრა უნდა გაიმართოს. კითხვები დამატებით გაჩნდა სავარჯიშო მოედნებთან დაკავშირებით და აღნიშნულის შესახებ შეხვედრა მჭიდროდ საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ლარიაშვილთან. პრემიერი დამპირდა, რომ ყველაფერი დათქმულ ვადებში მოგვარდება და ამით ბედნიერი ვარ. საქართველომ უნდა დაამტკიცოს, რომ არა მხოლოდ მოედანზე, არამედ მის მიღმაც ძლიერია და შეუძლია მაღალი დონის ტურნირების ორგანიზება, რომ ხდება სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერა. საქართველომ უნდა აჩვენოს ხარისხი მოედანს მიღმა.

2016-17 წლებში საქართველო ყურადღების ქვეშ უმთავრესად სწორედ მოედანს მიღმა იქნება. პრემიერთან შეხვედრისას იმაზეც ვისაუბრეთ, რომ საქართველოს ნაკრებს 2019 წლის მსოფლიო თასისთვის, რომელზე თამაშის უფლებაც უკვე ავტომატურად მოიპოვეთ, განსაკუთრებული მომზადება დასჭირდება. მნიშვნელოვანია, რომ თქვენმა ნაკრებმა მანამდე მაღალი დონის თამაშები ჩაატაროს და აქაც გიორგი ნიჟარაძის როლი და ნდობა უმნიშვნელოვანესია. ჩვენ ვცაბს, რომ მას თამაშების მაღალ დონეზე ორგანიზება შეუძლია. მე საათობით შემოძლია ქართულ რაგბიზე საუბარი, რომელიც ძალიან მიყვარს.“

მორარიუს დაუსვეს კითხვა, თუ რა უნდა იყოს უმთავრესი იმ ადამიანისთვის, რომელიც სრკ-ს პრეზიდენტობისთვის საკუთარ კანდიდატურას წამოაყენებს და რას ურჩევდა ის ახალ კანდიდატს, რაზეც კარპატელმა უპასუხა:

„უნდა შეძლოს ერთიანობის შენარჩუნება და სწორედ ესაა უმნიშვნელოვანესი. მან უნდა აიღოს საუკეთესო მაგალითი განვლილი პერიოდიდან, გადაიტანოს ის მომავალში და განავითაროს. მნიშვნელოვანია აგრეთვე კარგად ესმოდეს საერთაშორისო კონტაქტები. მას უნდა ჰქონდეს გამოცდილება და შეძლოს ინტეგრირება.“

კოპა კოპახიძე

© ფეხბურთი



ტაბლო

საძაბრთმელოს დავით გიფიანის სახელობის ეროვნული თასის გათამაშება. მეოთხედფინალი.

„დინამო“ – „ტორპედო“ 2:1 (პირველი მატჩი 1:0), „სიონი“ – „სამტრედია“ 0:0 (0:0, პენალტებით 2:0), „შუქურა“ – „ჩიხურა“ 1:1 (0:2), „ვიტჯორჯია“ – „ზუგდიდი“ 1:0 (0:1, პენალტებით 5:3. ამ შეხვედრის მსაჯმა მინდვრიდან 4 მოთამაშე გააძევა, თითოეულიდან 2-2).

მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი. ნახევარფინალი. „რივერ პლეიტი“ – „პიროსიმა“ 1:0, „ბარსელონა“ – „გუანჯოუ“ 3:0.

გადრი იაშვილი

© კალათბურთი

„სან ანტონიუს“ საუინაო რეკორდი



„სან ანტონიო სპურსმა“ შინაურ კედლებში ნბა-ს ზედიზედ 23-ე მატჩი მოიგო, რითაც საკლუბო რეკორდი დაამყარა. აღნიშნული ფაქტი გუშინ დილით დაფიქსირდა, როდესაც ტესასურმა კლუბმა „კა-შინგტონ უიზარდსს“ 114:95 სძლია. მიმდინარე ჩემპიონატში „სფურსს“ 14-ე საშინაო მატჩი აქვს მოგებული, გასული სეზონის ჩათვლით კი ამ სერიამ უკვე 23 თამაშს უნია.

ვიტალი ჯაფარიძე

© ინტერნეტიდან

მომხიბვლელი აფხაზი ასული

პარიზის მაღალი მოდის თვალთახედვის არეში კარგა ხანია მოხდა წარმოშობით მშვენიერი აფხაზი ასული სტელა ტრაპში (სვეტიანა თარბა), რომელიც, როგორც სამოდელო ამბების სპეციალისტები ამბობენ, თავისი გამორჩეული გარეგნობით ყველას ნიბლავს და კავასიურ ეშში განსაკუთრებით ამშვენებს.

სტელა ტრაპშის ფოტოები ასევე ამშვენებს მოსკოვის საჩოგბურთო სკოლის სარეკლამო ბანერებსაც. მშვენიერი გოგონა ყველას ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრებისაკენ და ხელში ჩოგნის დაჭერისაკენ მოუწოდებს, რაც ჩვენს „ტკბილ“ მეზობელ რუსებს ისედაც არ გამოსდით ურიგოდ.

ჩვენი ცხოვრება და საქართველოს სეპ-ბედი სხვაგვარად რომ გავითარებულიყო, სტელა ტრაპში შესაძლებელია დღეს ჩვენი სპორტსმენების მუზა ყოფილიყო და მისი დიდ-დიდი პოსტერები თბილისში ყოფილიყო გამოკრული. თუმცა ჩვენ გულს ნუ გავიტყუებთ და იმედი გვქონდეს, რომ სულ ტრაპში არ იქნება ჩვენი საქმე.

როსტომ რაჭველიშვილი



მანუჩარ ბიორბაძე

© ხალხურთი

ნახევარფინალიც დაკომპლექტდა

დანიშნულ, ქალ ხელბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატზე, ნახევარფინალში ითამაშებენ პოლანდია-პოლონეთი და ნორვეგია-რუმინეთი.

პოლანდია, ერთდღესიერ გუნდი ამ ჩემპიონატზე, რომელსაც თამაში არ წაუგია, თავიდან ბოლომდე უგებდა საფრანგეთს და საბოლოოდ 28:25 გაიმარჯვა ჩემპიონატის საუკეთესო მეკარის ტეს ვესტერის 21 მოგერიებული დარტყმითა და ესტავანა პოლმანის 10 გოლით. პოლანდია პირველად გაიგდა დიდი ტურნირების (ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატი, ოლიმპიადი) ფინალურ ოთხეულში.

პოლონეთსაც არასოდეს მოუპოვებია მედალი სამ უმთავრეს სანაკრებო შეჯიბრებაზე. რუსეთს მეოთხედფინალმდე ექცის დან 6 მოგება ჰქონდა და ფავორიტადაც ითვლებოდა. ტაიში მოიგო პოლონეთმა (11:9), მერე 14:11 წინ იყო, მაგრამ 38-44 წუთებზე რუსებმა ხუთბურთიანი სპურტი მოაწყვეს – 17:15. რუსეთი იგებდა 52-ე წუთზეც – 20:17, მაგრამ მონიკა კობილინსკამ ჯერ გაათანაბ-

რა, დასრულებამდე 40 წამით ადრე კი წინაც გაიყვანა პოლონეთი (21:20), ვიახირევას ბოლო დარტყმა კი მოიგერია მეკარე ვისოკინსკამ. პოლონეთი ერთადერთი



გუნდია, ვინც წინა მსოფლიო ჩემპიონატზეც მოხვდა ოთხეულში (მეოთხე ადგილი), 2013 წლის პირველი სამეული კი უკვე გავარდა – ბრაზილია, სერბეთი, დანია.

მეორე ნახევარფინალში ითამაშებენ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ნორვეგია (1999, 2011) და 1962 წლის ჩემპიონი რუმინეთი. ნორვეგია-მონტენეგროს თამაშში ანგარიში ბოლოს 48-ე წუთზე გაათანაბრა მაიდა

მეკმედოვიჩმა (21:21), შემდეგ კი გადამწყვეტი გამოდგა კამილა ჰერემის 2 სწრაფი გარღვევა, ნორა მორკის გოლი და შუალედებში – მეკარე სოლბერგის ორი მოგერიებული ბურთი, მათ შორის ბულატი-ვიჩის შვიდმეტრიანი – 24:21. მონტენეგრომ ისევ გაიბრძოლა (23:24), მაგრამ კვლავ ჩამორჩა სამით და ბოლო ორ წუთში მხოლოდ სხვაობა შეამცირა – 25:26.

რუმინეთი 12 000 მაყურებლის თვალწინ სულ უგებდა მასპინძელ დანიას. მაქსიმალური სხვაობა 3 ბურთი იყო, რუმინელების ლიდერმა, ქრისტინა ნიაგუმ კი, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხნის განმავლობაში პერსონალურად იყო აყვანილი, 23 დარტყმით 15 გოლი გაიტანა, მაგრამ მისი შვიდმეტრიანი ძირითადი დროის ბოლო წამზე მოიგერია მეკარე პოლსენმა – 27:27.

დანია პირველად და ერთადერთხელ წინ ოვერტაიმის პირველ წუთზე გავიდა ანე ჰანსენის გოლის შემდეგ, თუმცა, ბუჩესკიმ, ბრადიანუმ და ნიაგუმ ისევ დააწინაურეს სტუმრები. ჰანსენმა

© გი ბანი-ბან დაგვიყვადი...

შენობებს რომ ლაპარაკი შეეძლოთ...

თბილისში დაუსრულებელ მშენებლობებს ბევრი ხე და სკვერი ეწირება. ტროტუარებიც ძირითადად მანქანებისგან არის ოკუპირებული და ადამიანებისთვის ადგილი მხოლოდ ბეტონის კედლებს მიღმა რჩება. ყველა თანხმდება, რომ ქალაქი ნელ-ნელა ბეტონის ჯუნგლებს ემსგავსება, მაგრამ მშენებლობა მაინც გრძელდება. რა არის ამ ქალაქური მშენებლობის მიზეზი და რა გავლენას ახდენს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროცესები არქიტექტურაზე?

თბილისში, არსენას ქუჩაზე, ორი თბილისური ეზოა, ხის ჩუქურთმებიანი აივნებით და შუშაბანდებით. მათ შორის ასეთივე სახლი იდგა, ახლა კი ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი შენდება, ბეტონის კედლებით და მეტალოპლასტმასის ფანჯრებით. მსგავს კონტრასტებს თბილისში ხშირად შეხვდებით. რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს პროექტი, რომელიც ქალაქის ძველ უბნებში შენდება? — ამ თემაზე თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში კომენტარს არ აკეთებენ.

როგორც ისტორიული წყაროები გადმოგვცემენ, ალა-მაჰმად ხანის შემოსევამდე თბილისი ბანანი მცირე სახლის ეზოს ფუნქციას ასრულებდა და ბანიდან ბანზე გადასვლით, მიწაზე ფეხის დაუდგმელად, მთელი ქალაქის შემოვლაც კი იყო შესაძლებელი. გადამწვარი თბილისის აშენებისას რუსეთმა ბანები სრულიად აკრძალა და ყველა სახლის გადახურვა მოითხოვა. ხელოვნებათმცოდნე **თამარ ამაშუკელი** ამბობს, რომ ბანთან ერთად თბილისმა ის საჯარო სივრცე დაკარგა, რომელიც მისი ცხოვრების წესის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. ჩაკეტილ სივრცეში ცხოვრება მოსახლეობამაც დიდხანს ვერ აიტანა და ერთმანეთთან დასაკავშირებლად ახალი არქიტექტურული ხერხი გამოიგონა:

„ბანი იყო მათი ერთგვარი მიკროსამყარო, სადაც ყალიბდებოდა ძალიან შეკრული თემი. თემის ერთ-ერთი განმსაზღვრელი სწორედ ბანი და თბილისის ღია ცხოვრების სტილი

იყო. თბილისმა ძალიან ცოტა ხანი იგუა ეს ჩაკეტილობა და მან მალე გამოსავალი მოძებნა, შექმნა ახალი საჯარო სივრცე — აივნები. დღეს თუ ძველ თბილისში გავივლით, ვნახავთ, პრაქტიკულად როგორ შედიან აივნები ერთმანეთში და როგორ უკავშირდება ქალაქი ერთმანეთს“.



არქიტექტურა ყველაზე უკეთ გამოავლენს ქვეყნის ამა თუ იმ კულტურასთან კავშირს. ევროპისა და აზიის გასაყარზე მდგომ თბილისს ხანდახან „ორსახა იანუსსაც“ უწოდებენ. იუნესკოს მიერ უნივერსალურ ქალაქად აღიარებული თბილისი ევროპული და აზიური კულტურების გავლენის ნათელი მაგალითია:

„ყველაზე კარგად არქიტექტურა გვაჩვენებს, რომ ჩვენ იმ პერიოდში მსოფლიოს განუყოფელი ნაწილი ვიყავით. როგორც კი რომელიმე ტენდენცია შემოდიოდა მსოფლიოში, ის აუცილებლად შემოდიოდა თბილისშიც. თუმცა თბილისი არასოდეს აკოპირებდა, ის ამუშავებდა და მოირგებდა ახალ სტილს. ასე მორგებული ევროპული არქიტექტურის შედეგია, რომ მას აქვს ევროპული ფასადი გარედან და შიგნიდან არის სრულიად თბილისური ეზო. ამიტომაც განსაკუთრებით ხშირად ტურისტები ამბობენ, რომ თბილისი არის საიდუმლოებით მოცული ქალაქი, რადგან არ იცო, ეზოში რომ შესვალ, რა დაგხვდება“.

რთულია დღევანდელ მსოფლიოში რომელიმე კონკრეტულ არქიტექტურულ სტილზე ისაუბრო. ისევე როგორც ხელოვნებაში, არქიტექტურაშიც დაირღვა სტილი. აღარ არსებობს

ერთი რომელიმე მიმდინარეობა, რომელსაც ყველა მისდევს, თუმცა სპეციალისტები თანხმდებიან, რომ დღევანდელი თბილისის არქიტექტურა ევროპულთან კავშირში აღარ არის. შემინული შენობები, რომლებიც ახლა ქალაქში ყველაზე ხშირად გვხვდება, ამერიკამაც და ევროპამაც დიდი ხნის წინ გაიარა და ახლა კომფორტულ, ადამიანზე მორგებულ ქალაქებს აშენებენ:

„ქალაქის კომფორტულობა ხშირად იმაში გამოიხატება, თუ რამდენად გამართულია საჯარო სივრცეები, რამდენად აქვს ადამიანს იმის საშუალება, რომ დაისვენოს ან თავი იგრძნოს გარემოში. მიუხედავად მეგაპოლისისა, ჩვენ გვჭირდება, რომ გვექონდეს ბუნების თუნდაც მცირე ნაწილი, სადაც ჩვენ შეგვიძლია, ვიუროთ ერთი იესი, რომ ამაში არავინ მოგვთხოვს ფული“.

პოლიტიკა, კულტურა და სოციალური სისტემები არქიტექტურის პირდაპირი მიზეზი და მისი ფორმის განმსაზღვრელია. მაგალითად, პიტლერის პირადი არქიტექტორის ალბერტ შვერის გიგანტური შენობები მოსახლეობაში შიშის გამოწვევას ცდილობდა და ადამიანის ამ სტრუქტურებთან უძლურებას არქიტექტურაშიც ავლენდა. არქიტექტურა, ისევე როგორც კინემატოგრაფი, პოლიტიკური სისტემების ლეგიტიმაციის საკმაოდ აპრობირებული ხერხია.



ლი ხერხია. არქიტექტორ ალექსანდრე ჩუბინიძის აზრით, ეს არც საქართველოსთვის არის უცხო:

„დანყებულ რუსეთის იმპერიით, დასრულებული ვარდების რევოლუციის შემდეგ მოსული ხელისუფლებით, ყველა ცდილობს, რომ ლეგიტიმაცია მოახერხოს არქიტექტურით. შესაბამისად, ჩამოყალიბდა რაღაც სიმულაკრული, ეკლექტიკური სტილისტიკა. ეს არ არის იმპერიული არქიტექტურა, მაგრამ თავისი ხასიათით, თავისი

სტრუქტურით ძალიან ჰგავს იმას, რაც დანარჩენ მსოფლიოში ხდებოდა. კიდევ ერთი ძალიან საინტერესო მომენტი არის საკუთრივ მასალის გამოყენების ფილოსოფია: წამოვიდა მინა. ამის ყველაზე კარგი მაგალითია პროექტი, რომელიც იმელის შენობის უკან შენდება. ეს არის ჩვეულებრივი რკინა-ბეტონის მონსტრი, რომელიც იფუთება მინით“.

საქართველოს ეკონომიკის თითქმის 50 პროცენტი სოფლის მეურნეობაზე მოდის, მეორე ნახევარი კი — სხვა სფეროებში დასაქმებულ ადამიანებზე, რაც ნიშნავს, რომ ქვეყნის მოსახლეობის თითქმის ნახევარი ქალაქშია წამოსული. ამ „ურბანული ინსულტის“ გადასატანად არქიტექტორებს გარკვეული რჩევები და ხედვები აქვთ. ალექსანდრე ჩუბინიძის აზრით:

„უნდა მოხდეს საქართველოს ერთიანი განსახლების სქემის გადახედვა. უნდა მოხდეს საწარმოო და ეკონომიკური ძალების გადანაწილება და დეცენტრალიზაცია ქვეყნის მასშტაბით. შემდეგ შეიძლება განვითაროთ თბილისის არადასახლებული რაიონები. ცენტრალურ ნაწილში გადის რკინიგზა. შეიძლება მისი გადატანაც და ამით შეიძლება გამოვიწვიოთ ძალთა შიდა გადანაწილება ურბანულ კონტექსტში“.

საბჭოთა კავშირის დაშლამ, სამოქალაქო ომმა და მძიმე მდგომარეობაში მყოფმა ეკონომიკამ ქალაქში განვითარებულ სპონტანურ მშენებლობებს ხელი შეუწყო და მივიღეთ თბილისი, რომელიც არც ჩვენთვის არის კომფორტული და არც ტურისტისთვის მიმზიდველი

© ინფორმაცია

სუბსიდი ახლოვდება

რეისებს შეახება

სამომხალაქო ავიაციის სააგენტოს ხელმძღვანელის გურამ ჯალაღონიას განცხადებით, მთავრობამ მესტიის მიმართულებით რეისებზე უკვე მიიღო სუბსიდიის გადაწყვეტილება, რადგან ის მომგებიანი ვერ იქნებოდა. სოლო რაც შეეხება საერთაშორისო რეისებს, რომელსაც ეროვნული ავიაკომპანია ასრულებს, ჯალაღონიას განმარტებით, მისი სუბსიდიის საკითხი დღის წესრიგშიც არ დგას.

დავუშვათ და სახელმწიფომ მოინდომა რაღაც სუბსიდიერება, იმ კომპანიის რომელიც საერთაშორისო რეისებს ასრულებს, ეს დაუშვებელია და არ შეიძლება. სუბსიდიის განხილვა შეიძლება მხოლოდ იმ კომპანიის შემთხვევაში მოხდეს, რომელიც ადგილობრივ რეისებს ასრულებს. მაგ. მესტია. ჩვენ მესტიის მიმართულებით სუბსიდიერებაზე გადაწყვეტილება საჭიროებიდან გამომდინარე მივიღეთ, რადგან კომპანია მომგებიანი ვერ იქნებოდა“ — განუცხადა ჯალაღონიამ „ბიზნესკონტაქტს“.

შეგახსენებთ: მიმდინარე წლის მარტში ხელისუფლებამ ჩარტერული რეისების სუბსიდიის პაკეტზე მუშაობა დააანონსა.

ქუთაისი გავიდა

სივრცულ შენობა

ბათუმის დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ცენტრში ქუთაისში დიაგნოზით ნ წლის ბავშვი დაიღუპა. შემთხვევა 15 დეკემბერს მოხდა, ბავშვი შუახვევის სოფელ მანყვალთიდან სამედიცინო ცენტრში გადაყვანის შემდეგ ხუთ საათში გარდაიცვალა.

როგორც გაზეთ „ბათუმელებს“ აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე ნინო ნიჟარაძემ განუცხადა, გარდაცვლილ ბავშვს ოჯახის ექიმმა წითელას დიაგნოზი დაუსვა, თუმცა სტაციონარში ბავშვს ქუთაისში დაუდგინდა მძიმე სეფტიკურ-ტოქსიკური შოკი.

ანგისაში მდებარე დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ცენტრში 15 დეკემბერს გარდაცვლილი ბავშვის ოჯახიდან კიდევ ორი მცირეწლოვანი მიიყვანეს, რომლებსაც ყურის ანთება და მალალი სიცხე ჰქონდათ. ნინო ნიჟარაძის ინფორმაციით, ბავშვების სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება და ისინი სახლში აგრძელებენ მკურნალობას.

„მანყვალთაში ჩვენი ორგანიზაციის შუახვევის განყოფილება იყო ორჯერ გასული. დღეს სკოლას ჩაუტარდა დეზინფექცია. აღვწერეთ კლასი, სადაც 14 ბავშვი სწავლობს, ისინი ჯანმრთელები არიან და არანაირი კლინიკური გამოვლინება არა აქვთ, მიეცათ რეკომენდაციები მშობლებსა და სკოლას, — განაცხადა ნინო ნიჟარაძემ.

© პროგრამა

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კვირეული

საბარტოშელის შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი მღებრიშვილის ინიციატივით, შს სამინისტრომ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პროექტი შეიმუშავა. პროგრამა სხვადასხვა მნიშვნელოვანი კომპონენტისაგან შედგება.

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პრევენციული მიმართულების გაძლიერების მიზნით შემოღის მართვის მოწმობაზე მინიჭებული ქულათა სისტემა.

როგორც შსს-ში აღნიშნავენ, საყურადღებოა, რომ მსგავსი მოდელი მსოფლიოს 21 ქვეყანაში,

ასევე, ამერიკის შეერთებულ შტატებში, წარმატებით მოქმედებს და აღნიშნული კანონპროექტი სწორედ დასავლეთში აპრობირებული მექანიზმის ძირეულ შესწავლასა და ანალიზს ეფუძნება. პროექტის თანახმად, ყოველი კალენდარული წლის 1 იანვარს მართვის მოწმობას 100 ქულა მიენიჭება, რომელიც ძალაში იქნება იმავე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

საგზაო მოძრაობის სფეროში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა გამოიწვევს

მართვის მოწმობაზე მინიჭებული ქულების შემცირებას, ხოლო ქულათა რაოდენობის მთლიანად ამოწურვა — მართვის უფლების გაუქმებას (შენ ყვეტას).

ასეთ შემთხვევაში, მართვის უფლების ხელახალი მოპოვებისთვის მოქალაქემ შესაბამისი კატეგორიის თეორიული გამოცდა უნდა ჩააბაროს. გამოცდის ჩაბარებას ის მართვის უფლების გაუქმებიდან 2 თვის შემდეგ შეძლებს.

სამინისტრო განმარტავს, რომ ქულების შემცირება არ მოხდება

ვიდუორეგისტრატორის და უკონტაქტო პატრულირების დროს გამოწერილი ქვითრით.

დამოუკიდებელ მძღოლს ქულები მხოლოდ საპატრულო პოლიციის თანამშრომლის მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევითა კანონის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული დარღვევისთვის შეუმცირდება. აღსანიშნავია, რომ ქულების დაკლება მოხდება საჯარიმო ქვითრის გამოწერის პარალელურად. მაგალითად, მუხლი 1181 — ავტოსატრანსპორტო საშუალებით

მოძრაობისას მძღოლის ან მგზავრის მიერ უსაფრთხოების ღვედის გამოუყენებლობა, აღნიშნული მუხლის დარღვევის შემთხვევაში, მგზავრს 100 ქულადან გამოაკლდება 10 ქულა და ამასთან დაჯარიმდება 30 ლარით.

რაც შეეხება კონკრეტულ დარღვევაზე ქულების მინიჭების კრიტერიუმებს, სამინისტრომ პროგრამის შემუშავებისას გაითვალისწინა საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება და ქულების ოდენობა თითოეულ დარღვევაზე განისაზღვრა ამა თუ იმ დარღვევის რისკიდან და მისი ინტენსივობიდან გამომდინარე.

© აქოლოგია

დედაშინის მღვდნელები

მსოფლიოში ყველა ქვეყანა, უწინარესად მოსახლეობის რიცხოვნობიდან გამომდინარე, კვების პროდუქტების სხვადასხვა ოდენობას მოიხმარს, ამასთან, არიან ისეთებიც, რომლებსაც მხოლოდ საკუთარი რესურსების ხარჯზე არსებობა არ შეუძლიათ. ბოლოდროინდელი გამოკვლევებით მეცნიერები შეცადავენ დაედგინათ, თუ რომელი ქვეყნე-



ბი არიან „შეწინილი“ სურსათის მსოფლიო მარაგს და ვის ხარჯზე ცხოვრობს ზოგიერთი სახელმწიფო, რომელიც პლანეტას განსაკუთრებით აზარალებს.

ამის გასარკვევად მეცნიერები ერთმანეთს ორ ფაქტორს – ეკოლოგიურ კვალსა და ბიოტევადობას ადარებენ.

ეკოლოგიური კვალი – ესაა დედამიწის ზედაპირის ფართობი, რომელსაც არსებობისა და კვებისთვის ვიყენებთ.

ბიოტევადობა (ბიორესურსები) – ესაა ბუნების სურსათისა და ნედლეულის წარმოების, აგრეთვე, ამის შემდგომ აღდგენის უნარი, რომლის მაჩვენებლები სხვადასხვა ქვეყანაში ძლიერ განსხვავდება.

მაგალითად, ამერიკელები ისეთ „მადანე არიან“, რომ ბუნებაში მეტად შესაძენე კვალს ტოვებენ, ამდენად აღსადგენად ისინი საკუთარი რესურსებით არ კმაყოფილდებიან და სხვა ქვეყნების რესურსებს უხვად მოიხმარენ. მკვლევართა გამოანგარიშებით, დედამიწაზე ყველაზე მეტად ცხოვრობდნენ, როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში, მაშინ ყოველწლიურად დახარჯული ბუნებრივი რესურსების აღსადგენად საჭირო იქნებოდა დედამიწისხელა ოთხი პლანეტის ფართობი ეს კი, ფაქტობრივად, იმას ნიშნავს, რომ სა-

შუალო სტატისტიკური ამერიკელი ბუნებას ისეთივე ზიანს აყენებს, როგორსაც ოთხი რომელიმე სხვა, გნებავთ, საქართველოს მოქალაქე. მაგრამ უბედურება ისაა, რომ ამაში ლიდერები ამერიკელები არ არიან.

გაცილებით დიდ ზარალს დედამიწას ყატარის, კუვეიტის, არაბეთის გაერთიანებული საემიროებისა და დანიის მოქალაქეები აყენებენ.

ალსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი ქვეყანა, მაგალითად, რუსეთი, ბუნებას ზიანს მთლად ამერიკის დონეზე თუ არა, მაინც მნიშვნელოვნად (მხოლოდ 1,5-ჯერ ნაკლებს) აყენებს, მაგრამ უზარმაზარი ტერიტორიისა და ბიორესურსების პატრონი, მათ „ფეხით გათელვას“ ვერც კი ასწრებს, ამიტომაც, დიდნილად, „საკუთარი ხარჯით ცხოვრობს“, თუმცა ესეც, ცხადია, პირობითად.

ინფორმაცია თემაში

ეკოლოგიური კვალი – ესაა განაშენიანებული, ანუ ის მიწები, რომლებიც ჩვენს საცხოვრისებს, საწარმოებსა და გზებს უკავიათ. აგრეთვე ის ფართობი, რომლებსაც სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოსაყვანად, საძოვრებად, სის მერქნისა და სხვა საჭირო მასალების საწარმოებად ვიყენებთ.

ბიოტევადობა (ბიორესურსები) – ესაა ბუნების უნარი გაანეიტრალოს მანვე გამოწვები და სხვა სახეობის ზარალი, რომელსაც მას ადამიანის სამეურნეო მოღვაწეობა აყენებს.

ერთ სულ მოსახლეზე ეკოლოგიური კვალის მიხედვით, ბუნებას ყველაზე დიდ ზარალს აყენებენ ყატარი (11,68), დანია (8,25) და აშშ (7,19); ბიორესურსებს ყველაზე მეტად აზარალებენ ავსტრალიაში (14,57), კონგოში (12,2) და არგენტინაში (7,12).

შენიშვნა: ეკოლოგიური კვალი და ბიორესურსები პირობით გლობალურ პექტარებში იზომება. მონაცემები კი შედგენილია ველური ბუნების მსოფლიო ფონდისა და ეკოლოგიური კვალის მსოფლიო ქსელის მონაცემთა მიხედვით.

მოამზადა
ნიკო ალექსანდრიამ

© კულტურა

„ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა“

პოლონეთში საქართველოს საელჩოსა და ვარშავის ეთნოგრაფიული მუზეუმის ორგანიზებით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით ვარშავის სახელმწიფო ეთნოგრაფიულ მუზეუმში ოფიციალურად გაიხსნა გამოფენა „ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა“.



გამოფენის გახსნის ცერემონიაზე დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს პოლონეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილმა და ვარშავის სახელმწიფო ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორმა. ელჩმა საკუთარ გამოსვლაში ქართული ანბანის წარმოშობის ისტორიისა და მისი უნიკალურობის შესახებ ისაუბრა.

გამოფენაზე, რომელიც ერთი თვე გასტანს, წარმოდგენილია ქართული ეროვნული კოსტიუმები და მიკრომოზაიკის სამკაულები.

გამოფენის გახსნის ცერემონიას პოლონეთის სამთავრობო უწყებების, სენატისა და სეიმის წარმომადგენლები, პოლონეთში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის ხელმძღვანელები, კულტურისა და მეცნიერების სფეროს წარმომადგენლები და პოლონეთში მცხოვრები ქართველები ესწრებოდნენ.

© კადრი



რგოლეკუდა მუნგო

ის უაღრესად მოძრავი პატარა მტაცებელი ცხოველი, რომელიც მხოლოდ კუნძულ მადაგასკარზე ბინადრობს, იშვიათად რჩება მშვიერი. იგი ყველაფერს ჭამს – დაწყებული მწერების კვერცხებიდან ლოკოკინებითა და ხილით დამთავრებული.

ფრინველებსა და მათ კვერცხებზე ნადირობისას, მუნგო ჩინებულად დაძვრება ხეებზე, რითაც თავის მეორე სახელწოდებას – ნახევრადმანგუსტს – ამართლებს. ასევე არ უჭირს მუნგოს წყალში ყვინთვა და თევზებისა და ქვეწარმავლების დაჭერა. მანგუსტების მსგავსად, მუნგოებს შეუძლიათ კვერცხების ნაჭუჭისა და ლოკოკინების ჯავშნის ქვაზე ან ხის ტანზე გატეხვა.

რგოლეკუდა მუნგოს ბებერი ხეების ფულურობებში ან სოროებში სძინავს, რომლებსაც არწახული სისწრაფით თხრის. პარაზიტი მწერებისგან თავის დასაღწევად კი ღამის სათევ ადგილებს მუნგო გამუდმებით იცვლის.

საინტერესოა ისიც, რომ მუნგო რასაც ჰქვია, დიდი „ენაწყლიანი“ ცხოველია – თანამოძმეებთან ურთიერთობისას ის ფრინველივით სტვენს, ხოლო ნადავლის დაჭერისას... კატასავით კნავის.

რეკლამა

მარაგლის ქ. №7.

„საქართველოს რესპუბლიკაში“ 293-37-87

© ცინცხალი ანეკდოტები

ბნელ ქუჩაში მძარცველი გამგელს აჩერებს:

- აბა, მომეცი შენი ფულები!
- გირჩევთ, ასე ნუ მოიქცევით, მე მთავრობას ვემსახურები!
- აბ, ასეა? მაშინ მომეცი ჩემი ფულები!

პბტბრბ მინო გაკვეთილს ამზადებს. ერთი კითხვა ასეთია: „რა აცალკევებს თავს სხეულისგან?“

– რა დიდი გამოცნობა ამას უნდა, – ირონიულად ეცინება მინოს, – რა თქმა უნდა, ნაჯახი.

- მძიმე, ჩემთვის არცის სმა შეიძლება?
- შეიძლება.
- რაო, ყველაფერი ასე კარგად არის?



– არა, ყველაფერი ასე ცუდადაა.

დამბა. კოკისპირულად წვიმს. კარზე ხარი ირეკება.

სიძე ალბებს კარს და ზღურბლთან თავის სიდედრს ხედავს:

– პოლინა სერგეენა! რას აკეთებთ ასეთ თავსხმა წვიმაში ქუჩაში? წადი ჩქარა სახლში!

ბამბოქვეშის შემდეგ ექიმი და პაციენტი საუბრობენ:

- თქვენ კლემპტომანია გჭირთ.
- ეს რა არის?
- რა არის და, გამუდმებით რაიმეს მოპარვის სურვილი.
- და რა უნდა გავაკეთო?
- რა და, დასაწყისისთვის ჩემი ავტოკალამი დამიბრუნეთ.

ავტორთა სახურაფლავო რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მარაგლის ქ. №7
ინფორმაცია 66434

გამომცემელი: შპს „მანამგომ“-გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79 შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება გამომცემლობა „ეკოლოგი“ რეგისტრის ჩიხი №20

uac(უაქ)070.4(479.22) 5-323 ISSN 2233-3851 9 772233 1385001

მთავარი რედაქტორი ალექო ასლანიშვილი 293-37-87; 599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიშვილი 599 53-76-16; რუსლან რუსია 599 17-21-21; სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35 პასუხისმგებელი მდივანი მამუკა ვაშაქიძე